

# ოკუპაციის დაწყება და დასრულება

საერთაშორისო სამართლებრივი ცნებები, ნორმები, პრაქტიკა და  
მათი გამოყენება აფხაზეთისა და ცხინვალის რევიონის/სამხრეთ ოსეთის  
ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

## **ოკუპაციის დაწყება და დასრულება:**

საერთაშორისო სამართლებრივი ცნებები, ნორმები, პრაქტიკა და მათი გამოყენება  
აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ  
ტერიტორიებთან მიმართებით

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2025



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

მკვლევარი: საბა ფიფია

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

**ციტირების წესი:** სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საბა ფიფია, „ოკუპაციის დაწყება და დასრულება: საერთაშორისო სამართლებრივი ცნებები, ნორმები, პრაქტიკა და მათი გამოყენება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ მსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით“, 2025.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

**ტელ:** +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

## 1. შესავალი

### 1.1. ნაშრომის მიზნები და გამოყენება

წინამდებარე სტატია ეხება ოკუპაციის დაფუძნების, მიმდინარეობისა და დეოკუპაციის საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს. სტატია განიხილავს ოკუპაციის სამართლის ცალკეულ ცნებებსა და ნორმებს და მათ პრაქტიკაში გამოყენების საკითხებს. აღნიშნული მსჯელობა დაკავშირებულია საქართველოს ოკუპირებული რეგიონების სამართლებრივი სტატუსისა და მათზე მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმის დადგენისა და გავრცელების საკითხთან.

სტატიის მიზანია სრულფასოვნად გააანალიზოს ტერიტორიის ოკუპაციის სამართლებრივი ელემენტები და გამოიყენოს ისინი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებთან მიმართებით. კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მიმოიხილავს, განმარტავს და აზუსტებს ტერიტორიის ოკუპაციასთან დაკავშირებულ ცალკეულ სამართლებრივ ასპექტებს, რაც გამოსადეგი შეიძლება იყოს არაერთი აქტორისთვის, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, კონფლიქტის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, დარგის ექსპერტთათვის და აკადემიური წრეებისთვის, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და ამ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის.

სტატიის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მიეთითოს, რომ რიგ შემთხვევებში კვლევა აღწერს, თუ რა სამართლებრივი რეჟიმები შეიძლება გავრცელდეს ოკუპაციის ცალკეულ სიტუაციებში, თუმცა, შესაძლოა, ეს ყოველთვის არ იყოს რელევანტური საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, რადგან ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა ოკუპაციის სამართლის კონკრეტული კონცეფციების საქართველოს რეალობაში გამოყენების შესაძლებლობას.

### 1.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლები შეზღუდულია მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (კერძოდ, მისი ქვედარგის ტერიტორიის საერთაშორისო სამართლის) მიმოხილვით და არ ეხება ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლის. შესაბამისად, ნაშრომში არ არის განხილული შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების კანონიერების, ან თავად ოკუპაციის კანონიერების საკითხი. წინამდებარე სტატია დაფუძნებულია იმ მოცემულობაზე, რომ ტერიტორიის ოკუპაცია არის ფაქტობრივი გარემოება, რომლის დადასტურების შემთხვევაში მოქმედებას იწყებს სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი. აქედან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისას სტატიის შინაარსი შემოიფარგლა მხოლოდ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ცალკეული ნორმების ანალიზით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების კონტექსტან მათი მისადაგებით.

სტატიის დასამუშავებლად ჩატარებული კვლევისას გამოყენებულ იქნა როგორც აკადემიური წყაროები, ისე სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, საერთაშორისო შეთანხმებები, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტები, საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობა და სხვადასხვა ოფიციალურ ორგანოთა არასამართლებრივი დეკლარაციები.

სტატიის მეთოდოლოგია მოიაზრებს მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი კვლევის ჩატარებას, შესაბამისად, ნაშრომში ვერ შეხვდებით შეიარაღებული კონფლიქტის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა განზომილების განხილვას.

## 2. როდის ოკუპაცია ტერიტორიის ოკუპაცია

### 2.1. სამხედრო ოკუპაციის ცნება და ძირითადი ნიშნები

საერთაშორისო სამართლის კლასიკური გაგებით ოკუპაცია სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ოკუპანტი ძალა უშავლოდ იკავებს გარცვეულ ტერიტორიას და ჩაანაცვლებს მოქმედ სუვერენის და ამყარებს თავის მმართველობას.<sup>1</sup> თუმცა მეორე საჭიროა, რა ხარისხის კონტროლს უნდა ახორციელებდეს ოკუპანტი ძალა დაკავებულ ტერიტორიაზე იმისათვის, რათა ეს კონტროლი ჩაითვალოს სამხედრო ოკუპაციად ამ თემაზე ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი წყაროს - ჰააგის რეგულაციების გაგებით. აღნიშნული დოკუმენტი მიუთითებს, რომ ოკუპაცია მხოლოდ იმ ტერიტორიაზე ვრცელდება, რომელზეც ასეთი მმართველობა დამყარდა და შესაძლებელია მისი [მმართველობის] განხორციელება. ამ დებულებიდან, ცხადია, რომ ოკუპაციის ფაქტის არსებობისათვის საჭიროა სახეზე იყოს ორი კუმულატიური პირობა: (1) ოკუპანტი ძალის მიერ მმართველობის დამყარება, როგორც ფაქტი, და (2) ოკუპანტი ძალის მიერ ამ მმართველობის განხორციელების შესაძლებლობა. იმავე მიდგომას მიჰყვება საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ადგენს, რომ რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ძალად მისაჩინევად საჭიროა დასაბუთდეს, დაამყარა თუ არა ამ ძალამ მმართველობა კონკრეტულ ტერიტორიაზე და ახორციელებს თუ არა ამ მმართველობას.<sup>2</sup>

ზოგადი წესის მიხედვით, ოკუპაცია გვაქვს სახეზე, როდესაც ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შეიქრებიან და კონტროლს დაამყარებენ ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ამ სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების მიღმაა.<sup>3</sup> ამასთანავე, ამგვარი სამხედრო კონტროლის დამყარება არ უნდა იყოს ნებადართული ტერიტორიული სახელმწიფოს მიერ.<sup>4</sup> გამოყოფენ ოთხ დამახასიათებელ ნიშანს, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ უნდა დადგინდეს ოკუპაციის ფაქტი, არამედ განისაზღვროს ოკუპაციის სამართლის მოქმედების არეალიც: (1) ტერიტორიაზე იმყოფება უცხოელი სამხედრო ძალა, რომლის ამ ტერიტორიაზე განთავსებაც არ არის ნებადართული ან რეგულირებული მოქმედი შეთანხმებით, ან რომლის ქმედებებიც აჭარბებს შეთანხმებულ პირობებს; (2) ამ სამხედრო ძალამ განდევნა ტერიტორიაზე არსებული საჯარო მართვისა და ადმინისტრირების სისტემა და ჩაანაცვლა იგი თავისი სამხედრო მმართველობით; (3) სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, დაკავებული ტერიტორიის მოსახლეობასა და, მეორე მხრივ, იმ სამხედრო ძალას შორის, რომელიც აკონტროლებს ამ ტერიტორიას; (4) არსებობს საგანგებო წესრიგის შემოღების აშკარა პრაქტიკული საჭიროება სამხედრო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტის ესკალაციის საფრთხის შესამცირებლად.<sup>5</sup>

ყოფილი იუგოსლავისათვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა შეიმუშავა პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა ოკუპაციის ფაქტის დასადასტურებლად, კერძოდ: (1) ოკუპანტ ძალას უნდა შეეძლოს ადგილობრივი მმართველობის ჩანაცვლება; (2) მოწინააღმდეგის ძალები დანებდნენ, დამარცხდნენ ან უკან დაიხიეს, შესაბამისად, უშუალოდ ბრძოლის პერიოდში დაკავებული ტერიტორიები არ ჩაითვლება

<sup>1</sup> Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 18 October 1907, reg. 42,43.

<sup>2</sup> Case concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), Judgment, ICI Reports 2005, 173.

<sup>3</sup> Roberts, A. 'What is a Military Occupation?' in British Yearbook of International Law, no.55, 1984, 300.

<sup>4</sup> Kolb, R. 'Étude sur l'occupation et sur l'article 47 de la IVème Convention de Genève du 12 aout 1949 relative à la protection des personnes civiles en temps de guerre: le degré d'intangibilité des droits en territoire occupé' in African Yearbook of International Law, vol.10, 2002, 279.

<sup>5</sup> Roberts (n 3) 300-301.

ოკუპირებულად, ამასთანავე, უკვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე სპორადული წინააღმდეგობრივი მოძრაობები გავლენას არ ახდენს ოკუპაციის სტატუსზე; (3) ოკუპანტ ძალას საკმარისი სამხედრო ძალა ჰყავს განლაგებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან აქვს შესაბამისი შესაძლებლობა, რომ ამ ტერიტორიაზე გონივრულ ვადაში გაგზავნოს ჯარები, რათა იგრძნობოდეს ოკუპანტის მმართველობა; (4) ტერიტორიაზე უნდა იყოს შექმნილი დროებითი ადმინისტრაცია; (5) ოკუპანტმა ძალამ გამოსცა და აღასრულა სპეციალური სამართლებრივი აქტები ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობასთან მიმართებით.<sup>6</sup>

როგორც წესი, ოკუპაცია მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შედეგი შეიძლება იყოს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით ტერიტორიის სამზედრო ოკუპაცია გაიგივებულია სახელმწიფოთა შორის ომთან.<sup>7</sup>

#### • ოკუპაციის კლასიკური გაგება ჰაგის რეგულაციების მიხედვით

როგორც აღინიშნა, ოკუპაციის ფაქტის დასადგენად აუცილებელია სადავო ტერიტორია მოექცეს მოწინააღმდეგე მხარის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, თუმცა აუცილებელი არ არის ოკუპანტი ძალა აბსოლუტურ ეფექტიან კონტროლს ფლობდეს დაკავებული ტერიტორიის ყველა ნაწილზე, მთავარი ამოსავალი წერტილია, რომ ოკუპანტი ძალა ახორციელებდეს ამ ტერიტორიის ეფექტიან ადმინისტრირებას და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორგანიზებულმა წინააღმდეგობრივმა მოძრაობებმა შეიძლება პერიოდულად გააკონტროლონ იკუპირებული ტერიტორიის ნაწილი, ეს ზოგად სურათს არ ცვლის და ოკუპაცია ამით არ წყდება, რადგან ოკუპაციისთვის საჭირო ეფექტიანი კონტროლის მთავარი განმსაზღვრელია ტერიტორიაზე სამხედრო ადმინისტრაციის დამყარება და ადგილობრივი სუვერენის განდევნა.<sup>8</sup>

ოკუპანტი ძალის მიერ მოკლევადიანი და მცირე მასშტაბის კონტროლის დაკარგვა გავლენას ვერ იქნიებს ოკუპაციის სტატუსზე.<sup>9</sup> თუმცა, თუკი შეიარაღებული მოქმედების განახლება ოკუპანტ ძალასა და ადგილობრივ ძალებს შორის იმდენად ფართომასშტაბიანი და განგრძობითი ხასიათისაა, რომ ოკუპაციის სტატუსის ერთიან შეცვლას გამოიწვევს, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ოკუპაცია შეწყდეს.

ეფექტიანი კონტროლი ზოგადად განიმარტება სამი ძირითადი ელემენტისაგან შემდგარ ფაქტობრივ მოცემულობად, რომელთაგან სამივე წინაპირობა სახეზე უნდა იყოს, რათა დადგინდეს კონტროლის ეს ხარისხი:

- უცხოური ძალები იმყოფებიან დაკავებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობის გარეშე;
- ამ უცხოურ ძალებს შეუძლიათ განახორციელონ მმართველობა (ეს მოიცავს როგორც სამხედრო კონტროლს, ისე სამოქალაქო საკითხების მართასაც) დაკავებულ ტერიტორიაზე; და
- ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, რადგან ის ჩანაცვლებულია ოკუპანტი ძალის სამზედრო მმართველობით.

<sup>6</sup> ICTY, *Prosecutor v. Naletilic and Martinovic*, judgment of trial chamber IT-98-34, 31 (2003), 217.

<sup>7</sup> Convention (IV) relative to the Protection of Civilian Persons in Time of War. Geneva, 12 August 1949, art.2, commentaries (1958).

<sup>8</sup> IMT, *Trial of Wilhelm List and Others (Hostages trial)* 1947-1948. section IX in Law Reports of Trials of War Criminals, vol.VIII, London, 1949.

<sup>9</sup> Roberts, A. 'The End of Occupation: Iraq 2004' in *The International and Comparative Law Quarterly*, vol.54, no.1, 2005, 34.

ამ სამგანზომილებიანი ტესტის მიხედვით, საკმარისია მტრის ძალებს პქონდეთ ტერიტორიაზე კონტროლის შესაძლებლობები, მიუხედავად იმისა, ასეთი კონტროლი პრაქტიკაში ხორციელდება თუ არა. მიუხედავად ამისა, არსებობს დებატები ამ ტესტის დასაკმაყოფილებლად საჭირო კონტროლის დონეზე, რადგან, შესაძლოა, ეფექტიანი კონტროლი ტერიტორიაზე სამხედრო ჯარების განულაგებლადაც შესაძლებელი გახდეს.

ვინაიდან ეფექტიანი კონტროლის ტესტის სამი შემადგენელი ელემენტი კუმულაციური პირობებია, ეს მიუთითებს, რომ იმ მოქმედში, როდესაც ამ სამი აუცილებელი პირობიდან რომელიმე შეწყვეტს მოქმედებას, ოკუპაცია მთავრდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ძალების დაკავებულ ტერიტორიაზე ყოფნა ოკუპაციის დაწყების წინაპირობაა, ის არ არის არსებითი მისი გაგრძელებისათვის. მაშინაც კი, თუ უცხო სახელმწიფომ გაიყვანა თავისი სამხედრო ძალები ოკუპირებული ტერიტორიიდან და აღარ ჰყავს სამხედროები განლაგებული (ე.წ. *boots on the ground*), ეს ავტომატურად არ წყვეტს ოკუპაციას, რადგან ეფექტიანი კონტროლი შესაძლოა ფაქტობრივად კვლავ გრძელდებოდეს.<sup>10</sup> თუ ოკუპანტი ძალა შეინარჩუნებს დაკავებულ ტერიტორიაზე კონტროლს, ადგილზე ყოფნის გარეშეც კი, ეს ნიშნავს, რომ ოკუპაციის მდგომარეობა არ ჰეწყვეტილა. სანამ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, გამოაგზავნოს ჯარები გონივრულ ვადაში, და ამითი მისი მმართველობა იგრძნობოდეს ტერიტორიაზე, ის ინარჩუნებს საჭირო კონტროლს და რჩება ოკუპანტ ძალად.<sup>11</sup>

სწორედ ამიტომ, თეორიასა და პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ოკუპაციის ფაქტის დასადგენად საჭირო ეფექტიანი კონტროლის სხვადასხვა სახეცვლილება, რომლებიც განხილულია ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში.

კლასიკური ეფექტიანი კონტროლის ნათელი მაგალითია, მაგალითად, ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიის, დასავლეთ სანაპიროს უმეტესი ნაწილი (ე.წ. ზონა C),<sup>12</sup> რომელზეც ისრაელის სამხედრო მეთაურობას აქვს დამყარებული სრული კონტროლი და ასევე ამ ტერიტორიაზე განლაგებულია ისრაელის ძალები.

- ეფექტიანი კონტროლის ტესტის ახლებური გადაზრება
  - (a) დისტანციური კონტროლი

ეფექტიანი კონტროლი შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში გამოიხატებოდეს ე.წ. ‘დისტანციური კონტროლის’ გზითაც.<sup>13</sup> როგორც ჩანს, დისტანციური კონტროლი არ გამორიცხავს ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადმინისტრაციის დაფუძნებას, პირიქით, ის კუმულატიურად მოქმედებს ოკუპანტის მიერ ‘ძალაუფლების განხორციელების’ პრინციპის პარალელურად, შესაბამისად, დისტანციური კონტროლი მოიაზრებს ისეთ სიტუაციას, როდესაც ოკუპანტი ძალა აკონტროლებს სამოქალაქო მოსახლეობას და ახდენს

<sup>10</sup> See U.S. Military Tribunal at Nuremberg, USA v. Wilhelm List [The Hostages Case], reprinted in Law Reports of Trials Of War Criminals, Vol. VIII, 1949, p. 56; ICTY, Prosecutor v Naletilić & Martinović, Trial Judgment, IT-98-34, 31 March 2003, para. 217. See also ICRC, Commentary on the First Geneva Convention, 2016, paras 307–309.

<sup>11</sup> Naletilić & Martinović (n 6).

<sup>12</sup> პალესტინურ ავტონომიასა და ისრაელს შორის გაფორმებული სამშვიდობო მოლაპარაკებების ფარგლებში მიღწეული შეთანხმებით, ე.წ. ოსლოს შეთანხმებით, დასავლეთ სანაპირო დაიყო საზონად, A, B და C. A ზონაში პალესტინურ ავტონომიას გადაეცა სამოქალაქო ადმინისტრაცია და საპოლიციო ძალები, B ზონაში პალესტინური ავტონომია ახორციელებს სამოქალაქო ადმინისტრაციას, მაგრამ უსაფრთხოების მდგომარეობას აკონტროლებს ისრაელის ძალები, ხოლო C ზონაში (რომელიც დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიის თითქმის 60% შეადგენს) ისრაელს აქვს დამყარებული სრული კონტროლი.

<sup>13</sup> Yoram Dinstein, *The International Law of Belligerent Occupation*, (Cambridge University Press, 2019) 50.

დაკავებული ტერიტორიის აღმინისტრირებას, მაგრამ სამხედრო ძალა არ ჰყავს განლაგებული ტერიტორიის ყველა ნაწილზე, ან საერთოდ არცერთ ნაწილზე, თუმცა აქვს შესაძლებლობა, რომ ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში განათავსოს ჯარები აღნიშნულ ტერიტორიაზე, რათა იგრძნობოდეს ოკუპანტი ძალის მმართველობა.

ზოგიერთი მეცნიერი ასევე გამოყოფს ე.წ. ‘პოტენციური კონტროლის’ ტესტს, რომელიც დისტანციური კონტროლის ერთ-ერთი სახეცვლილებაა. ამ მიღომის მიხედვით, აუცილებელი არ არის ოკუპანტი ძალა ფაქტობრივ კონტროლს ახორციელებდეს დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობაზე, არამედ ოკუპაციის ფაქტის დასადგენად საკმარისია ისიც, რომ ოკუპანტი ძალა ტერიტორიას აკონტროლებდეს და ჰქონდეს პოტენციალი მოსახლეობის ნებისმიერ დროს გასაკონტროლებლად.<sup>14</sup>

### (b) ოპერაციული კონტროლი

ოპერაციული კონტროლის ცნება სიახლეა ოკუპაციის სამართალში და ჯერ კიდევ დასადგენია, თუ რამდენად განეკუთვნება ის სამართლებრივ კატეგორიას. ეს ცნება პირველად, 2024 წლის მაისში, ისრაელის თავდაცვის ძალებმა გამოიყენა ღაზას სექტორის სამხრეთ სასაზღვრო კორიდორის დაკავებასთან მიმართებით.<sup>15</sup>

როგორც ისრაელი განმარტავდა, მათ დაკავეს აღნიშნული ტერიტორია, თუმცა არ გამორიცხეს, რომ ტერიტორია, შესაძლოა, ასევე გამოეყენებინათ ღაზაში მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, მაგრამ არა იმგვარად, რომ ამას ისრაელისთვის ხელი შეესალა სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში. აქედან გამომდინარე, ამ ხარისხის კონტროლს, მათ უწოდეს ‘ოპერაციული კონტროლი’. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს კონცეფცია სიახლეა სამართლებრივი სივრცისთვის და მასზე მეტი კომენტირება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

### (c) ფუნქციონალური კონტროლი

ოკუპაციის ფაქტის დასადგენად საჭირო კონტროლის კუთხით, უფრო პრაგმატული მიღომაა ოკუპაციისადმი „ფუნქციონალური“ მიდგომა, რომლის მიხედვითაც, უცხო სახელმწიფოს, როგორც ოკუპანტი ძალის, სტატუსი, ისევე როგორც მისი ვალდებულებების ფარგლები, მიბმულია მის მიერ განხორციელებული კონტროლის ტიპისა და ხარისხის ფუნქციებთან.<sup>16</sup> ამ შეხედულებით, სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ოკუპაციის სამართლის ნაწილი მაინც, როგორც კი მოიპოვებს გარკვეულ კონტროლს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიებზე ან მის მოსახლეობაზე, მაშინაც კი, თუ ეს კონტროლი არ აძლევს მას უფლებას შეასრულოს ოკუპაციის სამართლის ყველა წესი. ოკუპანტი ძალა ამ შემთხვევაში, შებოჭილია ოკუპაციის სამართლის იმ საკითხებთან ან ცხოვრების სფეროებთან მიმართებით, რომლებზეც მას აქვს კონტროლი და მხოლოდ ასეთ საკითხებთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ ოკუპაციის სამართლის ზოგიერთი წესის გავრცელება დამოკიდებულია ოკუპირებული ტერიტორიის დროებითი

<sup>14</sup> Eyal Benvenisti, *The International Law of Occupation*, (Oxford University Press, 2<sup>nd</sup> ed, 2012) chapter 3.1.1.

<sup>15</sup> ‘Israel in effective control of entire Gaza land border after taking Philadelphi Corridor in south’ (*The Guardian*) available at <<https://www.theguardian.com/world/article/2024/may/30/israel-idf-philadelphi-corridor-rafah-gaza-control-palestine-war-hamas>> ყველა ონლაინ რესურსი ბოლოს ნანახია 2024 წლის 1-ელ დეკემბერს.

<sup>16</sup> ICRC, *Commentary on the First Geneva Convention*, 2016, para. 310; UN Human Rights Council, ‘Report of the Detailed Findings of the Independent International Commission of Inquiry on the Protests in the Occupied Palestinian Territory’, A/HRC/40/CRP.2, 2019, para. 67. See also for instance Marco Sassòli, ‘The Concept and the Beginning of Occupation’ in Andrew Clapham, Paola Gaeta and Marco Sassòli (eds), *The 1949 Geneva Conventions: A Commentary*, (Oxford University Press, 2015) paras. 47–51; Aeyal Gross, *The Writing on the Wall*, (Cambridge University Press, 2017) 133–135.

ადმინისტრირებისას უცხო სახელმწიფოს მიერ გარკვეული სფეროების კონტროლის ფარგლებზე.

ფუნქციონალური მიდგომის ყველაზე ნათელი მაგალითია ისრაელის მიერ ღაზას სექტორის ოკუპაცია 2023 წლის 7 ოქტომბრამდე, როდესაც ისრაელსა და ღაზაში მოქმედ სამხედრო დაჯუფებებს შორის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო. მანამდე ისრაელი დაზას სექტორში არ იყო წარმოდგენილი სამხედრო ძალების სახით, მაგრამ იგი აკონტროლებდა სამოქალაქო ცხოვრების გარკვეულ სფეროებს, როგორიცაა სამოქალაქო რეესტრი, სასაზღვრო კონტროლი, ექსპორტ-იმპორტი, ელექტროენერგია და ენერგიის სხვა წყაროები. შესაბამისად, ამ სფეროებთან მიმართებით ისრაელს ეკისრებოდა მსგავსი ვალდებულებები, რაც ოკუპანტ ძალას, მაგრამ სხვა სფეროებზე, მაგალითად, როგორიცაა განათლება, რომელსაც ღაზას დე ფაქტო მმართველები უწევდნენ ადმინისტრირებას, ისრაელს არ ჰქონდა ვალდებულებები ოკუპაციის სამართლის მიხედვით.

#### (d) კონტროლი ზროქისი რეჟიმების მეშვეობით

ზოგიერთ შემთხვევაში, ტერიტორიულ კონტროლს საოკუპაციო ძალა არა უშუალოდ, არამედ პროქსი მთავრობის ან სხვაგვარად დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით, ახორციელებს. თუმცა რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ხარისხის კონტროლს უნდა იყოს დაქვემდებარებული სუბიექტი იმისათვის, რომ დადგინდეს ოკუპაცია, რადგან სხვა სახელმწიფოს საქმეებში ნებისმიერი სახის ჩარევა ავტომატურად არ გულისხმობს ოკუპაციას.<sup>17</sup> ყოფილი იუგოსლავისათვის შექმნილი ტრიბუნალი თავის გადაწყვეტილებებში აწესებს ე.წ. ‘ზოგადი კონტროლის’ ტესტს ოკუპაციის დასადგენად. კერძოდ, ტრიბუნალის იურისდიქციის მიხედვით, ოკუპაცია სახეზეა მაშინაც კი, როდესაც ერთი სახელმწიფო ახორციელებს ‘ზოგად’ კონტროლს ადგილობრივ ძალებზე, რომელიც რეალურად ახორციელებს ‘ეფექტიან’ კონტროლს სადაც ტერიტორიაზე.<sup>18</sup>

როგორც წესი, ოკუპაცია მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შედეგი შეიძლება იყოს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია გაიგივებულია სახელმწიფოთა შორის ომთან.<sup>19</sup> თუმცა არის შემთხვევები, როდესაც არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს რომელიმე შეიარაღებული დაჯუფება მოიპოვებს უპირატესობას და კონკრეტულ ტერიტორიაზე დამყარებს ეფექტიან კონტროლს, შემდეგ ჩამოყალიბდება სეპარატისტულ მთავრობად და ამ ტერიტორიაზე გაავრცელებს საკუთარ დე ფაქტო საკანონმდებლო სისტემას. ამის ნათელი მაგალითია, საქართველოს ფაქტობრივი კონტროლიდან გასული ტერიტორიები - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი.<sup>20</sup> თუმცა ასეთი შემთხვევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიჩნეოდეს სამხედრო ოკუპაციად, თუკი აღნიშნულ დე ფაქტო რეჟიმს ‘ზოგადად’ აკონტროლებს რომელიმე სახელმწიფო. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ასეთ სახელმწიფოდ გვევლინება რუსეთის ფედერაცია. აღსანიშნავია, რომ ოკუპანტ ძალად ითვლება ის სახელმწიფო, რომელიც ზოგადი კონტროლის განმახორციელებელია მარიონეტულ მთავრობაზე, თუმცა ამ უკანასკნელის ბასუსისმგებლობა შეიძლება დადგეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის

<sup>17</sup> Sylvain Vite ‘Typology of armed conflicts in international humanitarian law: legal concepts and actual situations’ in *International Review of the Red Cross*, Volume 91 Number 873 March 2009, 74.

<sup>18</sup> ICTY, *Prosecutor v Blaskic*, Trial judgment, IT-95-14, para.149.

<sup>19</sup> GC IV (n 7), art.2, commentaries (1958).

<sup>20</sup> Benvenisti (n 14) 62.

მიხედვით; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის სიტუაცია დეტალურად სტატიის შემდგომ ნაწილებშია განხილული.

ზოგიერთ შემთხვევაში ოკუპანტი ძალა ცდილობს ხელოვნურად შექმნილი მთავრობების ოეგიტიმაციით მიიღოს მათგან ფორმალური თანხმობა ტერიტორიის ადმინისტრირებისათვის და შემდეგ გათავისუფლდეს ოკუპანტის ვალდებულებებისაგან. რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობა<sup>21</sup> და განიხილავს მათ სუვერენულ სახელმწიფოებად, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მათ ტერიტორიაზე რუსეთის რეგულარული ჯარის განთავსებაზე. თუმცა ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სამხედრო ოკუპაციის მარეგულირებელი ნორმების (კერძოდ, უნარის მე-4 კონვენციის შესაბამისი დებულებების) მოქმედება გრძელდება მიუხედავად ნებისმიერი სახის ცვლილებისა, რაც გამოწვეულია ოკუპანტ ძალასა და ოკუპირებული ტერიტორიის დე ფაქტო მმართველს შორის მიღწეული შეთანხმებით.<sup>22</sup> ყოველი ასეთი შემთხვევის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს მმართველსა და მართულს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი და არა სამართლებრივი მახასიათებლები.<sup>23</sup> ანუ ყურადღება უნდა მიექცეს, სავარაუდო ოკუპანტი ძალა ახორციელებს თუ არა ზოგად კონტროლს მარიონეტულ რეჟიმზე, რომელიც, თავის მხრივ, ეფექტიანად აკონტროლებს მშობელი სახელმწიფოსაგან დე ფაქტო გამოყოფილ ტერიტორიის ნაწილს; შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ამ ორ სუბიექტს შორის რაიმე შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს დე ფაქტო მმართველის სამართლებრივი სტატუსი, არარელევანტურია ოკუპაციის სამართლის გავრცელების მხრივ, რადგან ოკუპანტი ძალის უკანონო აქტები ბათილია და არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგს საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

მოგვიანებით ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა სისხლის სამართლის ტრიბუნალმა,<sup>24</sup> ისევე როგორც მართლმსახულების საერთაშორისო სასამართლომ, <sup>25</sup> მესამე სახელმწიფოს მიერ პროქსი რეჟიმის მეშვეობით ოკუპაციის ფაქტის დასადგენად უფრო მაღალი სტანდარტით იხელმძღვანელეს და ჩათვალეს, რომ საჭიროა სახეზე იყოს პროქსი რეჟიმების ‘ეფექტიანი კონტროლი’ მესამე სახელმწიფოს მხრიდან, რათა ამ რეჟიმების მიერ დაკავებული ტერიტორია ჩაითვალოს ამ მესამე სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად.

ოკუპაცია პროქსი სამთავრობო რეჟიმის მეშვეობით არ არის სტანდარტული ოკუპაციის მაგალითი, შესაბამისად, მისი დადგენა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, ამიტომ ყოველი სავარაუდო ოკუპაციის შემთხვევა უნდა განიხილებოდეს კონტექსტუალურად, კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. მხედველობაში უნდა მიიღებოდეს, პირველ რიგში, პროქსი მთავრობა ეფექტიანად აკონტროლებს თუ არა მშობელი სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ ტერიტორიას, შემდეგ უნდა დაგინდეს სავარაუდო ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი დე ფაქტო მთავრობის კონტროლის ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა ეფექტიანი კონტროლი, მაშინ კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო იქნება ოკუპანტი ძალა, რომელზეც სრულად გავრცელდება ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, ხოლო დე ფაქტო რეჟიმი კი შეიძლება განხილულ იქნეს საოკუპაციო მმართველობის ერთ-ერთ ფრთად. ხოლო თუკი დადგინდა, რომ სავარაუდო ოკუპანტი სახელმწიფო მარიონეტულ რეჟიმს ზოგადად აკონტროლებს, ეს,

<sup>21</sup> For details see: Slomanson, W.R. ‘Palestinian Statehood: a Secessionist Dialogue’ in *Miskolc Journal of International Law*, vol.8, no.1.

<sup>22</sup> GC IV (n 7), art.47.

<sup>23</sup> ICTY, *Prosecutor v Tadic (I)* trial chamber, IT-94-1, para.168.

<sup>24</sup> *Naletilic and Martinovic*, (n 6) para.214.

<sup>25</sup> *Armed Activities case*, (n 2) paras.160-177.

სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ აღნიშნული სახელმწიფო მოკლებულია სადავო ტერიტორიაზე მმართველობის განხორციელებას, რაც ჰაგის რეგულაციების მიხედვით ოკუპაციის დადგენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.<sup>26</sup> თუმცა, შესაძლოა, ოკუპაცია ზოგადი კონტროლის პირობებშიც გვქონდეს სახეზე, თუკი სადავო ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს ჯარია განლაგებული ადგილობრივი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, და ამ ჯარს აქვს საშუალება დე ფაქტო მთავრობის გვერდის ავლით განახორციელოს მმართველობა და კონტროლი დაკავებულ ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარაა იმის დადგენა, ადგილობრივი დე ფაქტო რეჟიმი არის თუ არა ოკუპანტი სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, რადგან ადგილზე განლაგებულ სამხედროებს ისედაც შეუძლიათ ხელისუფლების განხორციელება, შესაბამისად, სადავო ტერიტორია ჩაითვლება ოკუპირებულად, ჯარების წარმგზავნი სახელმწიფო კი - ოკუპანტად.

### განსხვავება ზოგად და ფაქტიან კონტროლს შორის

როდესაც საუბარია ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში მყოფ და მოქმედ პირთა კონტროლზე, ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონტროლის ორ სტანდარტს: **ეფექტიან კონტროლს** (ეს არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის კონტროლს) და **ზოგად კონტროლს**. ეფექტიანი კონტროლის სტანდარტი გულისხმობს, რომ პირი ან პირთა ჯგუფი მოქმედებს სხვა სახელმწიფოს ინსტრუქციების, პირდაპირი ბრძანებებისა და კონტროლის ქვეშ და ასე ახორციელებს ყველა ემედებას, რომლებიც დაგეგმილი, კოორდინირებული და წარმართულია სხვა სახელმწიფოსთან შეთანხმებით. ზოგადი კონტროლი კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო აფინანსებს, წვრთნის და ამარავებს პირთა ჯგუფებს სხვა სახელმწიფოში, მაგრამ არ არის ჩართული ამ პირთა ჯგუფის ოპერაციების დაგეგმვასა და წარმართვაში.<sup>27</sup> ოკუპაციის ფაქტის დასადგენად, როგორც წესი, საკმარისია დადგინდეს, რომ ერთი სახელმწიფო ზოგადად აკონტროლებს პირთა ჯგუფებს მეორე სახელმწიფოში და ეს პირები ეფექტიანად აკონტროლებენ გარკვეულ ტერიტორიას ამ სახელმწიფოში.

პროქსი რეჟიმებით ოკუპაციის ყველაზე ნათელი მაგალითებია ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელიც აკონტროლებს კუნძულ კვიპროსის ნაწილს, ხოლო უშუალოდ ამ ერთეულს კი აკონტროლებს თურქეთი; ასევე დნესტრისპირეთის რესპუბლიკა, რომელიც მოლდოვას სეპარატისტულ რეგიონს აკონტროლებს და მისი დე ფაქტო მთავრობა რესეთის ეფექტიანი კონტროლის ქვეშაა. იგივე ითქმოდა დონბასის რეგიონზე, სადაც ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკა აკონტროლებდა ტერიტორიას, ხოლო ამ ე.წ. რესპუბლიკაზე ეფექტიანი კონტროლი რუსეთს ჰქონდა დამყარებული, სანამ ცალმხრივი ანექსიით ფაქტობრივად არ მიიერთა ეს ტერიტორიები.

### **2.2. ოკუპაცია და ანექსიის დაუშვებლობა**

ანექსია ეწოდება სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო, ცალმხრივი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ავრცელებს თავის სუვერენიტეტს სხვა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე. როგორც ცალმხრივი აქტი, რომელიც, როგორც წესი, გულისხმობს ტერიტორიის ძალის გამოყენებით (ან ძალისმიერი მუქარით) დაუფლებას. ეს შეიძლება იყოს დე იურე ან დე ფაქტო ანექსია. ანექსია საერთაშორისო სამართალში განიხილება

<sup>26</sup> Hague Regulations, (n 1) art.42.

<sup>27</sup> Draft articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, with commentaries 2001. Text adopted by the International Law Commission at its fifty-third session, in 2001, and submitted to the General Assembly as a part of the Commission's report covering the work of that session (A/56/10). The report, which also contains commentaries on the draft articles, appears in the Yearbook of the International Law Commission, 2001, vol. II, Part Two, as corrected, 47-49.

აგრესის აქტად, რომელიც აკრძალულია და წარმოადგენს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.<sup>28</sup> ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც ოკუპანტი ძალა ოკუპირებულ ტერიტორიას სრულად ან ნაწილობრივ მიიერთებს საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე. ოკუპირებული ტერიტორიის ანექსია ბათილია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პერსპექტივიდან - ტერიტორია რჩება ოკუპირებულად, ხოლო ოკუპანტი ძალა კვლავ ვალდებული რჩება შეასრულოს ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.<sup>29</sup>

ოკუპაცია არსებითად დროებითი ხასიათისაა და, როგორც წესი, გათვლილია დროებით შედეგებზე. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ განდევნილი მთავრობა ინარჩუნებს თავის სუვერენულ იურისდიქციას ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ოკუპანტი ძალის უფლებამოსილება არსებითად შეზღუდულია: ოკუპანტი ვალდებულია შეინარჩუნოს სტატუს კვო ანტე.<sup>30</sup> თუმცა ეს ხელს არ უშლის საოკუპაციო ძალას გარკვეული ცვლილებების განხორციელებაში, რაც საჭიროა ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებთა კეთილდღეობისთვის ან საოკუპაციო ჯარის სამხედრო საჭიროებებისთვის. ასეთი ზომები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს პერმანენტული და არ უნდა ცვლიდეს სტატუს კვოს. ისრაელის უზენაეს სასამართლოს განმარტებული აქვს, თუ რა სახის ცვლილებები დაიშვება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საოკუპაციო ძალამ უნდა აწონდაწონოს როგორც სამხედრო, ისე ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესები ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ასე განახორციელოს რაიმე ცვლილება, მაგრამ არასოდეს დააყენოს წინ თავისი ქვეყნის ეროვნული, ეკონომიკური ან სოციალური ინტერესები გადაწყვეტილებების მიღებისას.<sup>31</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარი ცვლილებები ტერიტორიის ანექსიისაკენ მიმართულ ქმედებად მიიჩნევა. ანექსია, შესაძლოა, ასევე განხორციელდეს ისეთი ცვლილებების ინიცირებით, რომლებიც წარმოჩენილია როგორც დროებითი, მაგრამ თავისი ბუნებიდან გამომდინარე გათვლილია მუდმივ შედეგზე. მაგალითად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მიერ პალესტინურ ტერიტორიაზე ე.წ. უსაფრთხოების კედლის აღმართვა დროებით ზომად იყო განხილული ოკუპანტი ძალის მიერ, მისი მშენებლობა და თანმდევი რეჟიმი ქმნიდა შეუცვლელ გარემოებებს (*fait accompli*), რაც განიხილებოდა ანექსიად და არღვევდა საერთაშორისო სამართალს.<sup>32</sup>

ანექსიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია ისრაელის მიერ აღმოსავლეთი იერუსალიმის მიერთება და მისი ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადება,<sup>33</sup> ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსია 2014 წელს<sup>34</sup> და უფრო მოგვიანებით კი, უკრაინის

<sup>28</sup> See ibid. Commentary to Arts. 40, 41, ILC Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, 2001.

<sup>29</sup> GC IV (n 7) art. 47.

<sup>30</sup> Hanne Cuyckens, *Revisiting the Law of Occupation*, (Brill/Nijhoff, 2018) 72-73.

<sup>31</sup> HCJ 393/82 *Jam'i'at Iscan Al-Ma'almoun v. IDF Commander in the Judea and Samaria Area – Judgment*. Available <<https://hamoked.org/document.php?dID=160>>

<sup>32</sup> *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, I.C.J. Reports 2004*, p. 136, para. 121.

<sup>33</sup> Basic Law of Israel - Jerusalem Capital of Israel. Passed by the Knesset on the 17th Av, 5740 (30th July, 1980) and published in Sefer Ha-Chukkim No. 980 of the 23rd Av, 5740 (5th August, 1980).

<sup>34</sup> 'Agreement on the accession of the Republic of Crimea to the Russian Federation signed' (*The President of Russia, March 18, 2014*) available at <<http://en.kremlin.ru/events/president/news/20604>>.

სუვერენული ტერიტორიის ოთხი ოლქის - დონეცკი, ლუჰანსკი, ზაპოროჟიე და ხერსონი - ცალმხრივი მიერთება.<sup>35</sup>

აღსანიშნავია, რომ ისრაელის, რუსეთის ფედერაციის თუ სხვა სახელმწიფოს ისეთი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მეორე სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ცალმხრივად მიერთებას, არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგს. ანექსირებული ტერიტორია არ ჩაითვლება აგრესორი სახელმწიფოს ტერიტორიად, თუკი ეს არ მოხდება ორმხრივი შეთანხმების გზით. სხვა შემთხვევაში, ანექსირებული ტერიტორია ჩაითვლება ოკუპირებულ ტერიტორიად და ოკუპანტი ძალის მიერ განხორციელებული ყველა ქმედების კანონიერება დადგინდება ოკუპაციის სამართლის ფარგლებში მოქმედი ნორმების საფუძველზე. მნიშვნელოვანია მიეთითოს, რომ ანექსიის შემთხვევაში ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი არ იცვლება და კვლავ მოქმედებს ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი.

---

<sup>35</sup> ‘Signing of treaties on accession of Donetsk and Lugansk people's republics and Zaporozhye and Kherson regions to Russia’ (*The President of Russia*, September 30, 2022) available at <<http://www.en.kremlin.ru/events/president/transcripts/69465>>.

### 3. როდიდან მიიჩნევა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები იკუპირებულად

#### 3.1. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის ქმედებები 2008 წლამდე

საქართველოს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო დაძაბულობა და შეიარაღებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ამ კონფლიქტებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გამოიწვია ათიათასობით ადამიანის იძულებითი გადაადგილება და შექმნა პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაცია, რომლის შედეგადაც ორივე ტერიტორია სეპარატისტული მთავრობების დე ფაქტო მმართველობის ქვეშ მოექცა, რომელზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს კონტროლს.

სამხრეთ ოსეთმა, საქართველოსგან დამოუკიდებლობა ოფიციალურად 1991-1992 წლებში ქართულ ძალებსა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ძალებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გამოაცხადა. კონფლიქტი დასრულდა 1992 წლის ზაფხულში, როდესაც მებრძოლი მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი სამშვიდობო ძალების განლაგებაზე, რომელიც დაკომპლექტებული იყო რუსული ჯარებით. სამხრეთ ოსეთის მსგავსად, 1992-1994 წლებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა კონსტიტუციის მიღებით 1994 წელს, შემდეგ კი, ოფიციალურად, 1999 წელს. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დასრულდა 1994 წელს ე.წ. მოსკოვის შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც ასევე ითვალისწინებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (ფაქტობრივად რუსეთის დომინაციის ქვეშ მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია) სამშვიდობო ძალების განლაგებას.<sup>36</sup>

1993 წლიდან 2008 წლამდე საერთაშორისო დონეზე არცერთ აქტორს (მათ შორის, არც რუსეთს) არ დაუყენებია ეჭვებეშ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს სუვერენული ტერიტორიის განუყოფელი ნაწილის, საკითხი. გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (UNSC) რეზოლუციები ამ ტერიტორიებს საქართველოს ნაწილად აღიარებდა და მიუთითებდა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე.<sup>37</sup>

შესაბამისად, როგორც მინიმუმ, 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ოკუპირებულ ტერიტორიებად მიჩნევა დღის წესრიგში არ დამდგარა, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ თავად რუსეთის ფედერაცია ამ ტერიტორიებს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა და მისი ძალები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული იყვნენ საქართველოს თანხმობით, როგორც სამშვიდობო კონტიგენტი. ხოლო, მეორე მხრივ, არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების ზოგად ან ეფექტიან კონტროლს. მიუხედავად იმისა, რომ ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია, სამართლებრივად საჭიროა, რომ სახეზე იყოს მყარი მტკიცებულება პროქსი რეჟიმების მეშვეობით მესამე სახელმწიფოს მხრიდან ოკუპაციის ფაქტის დასადგენად.

თუმცა, რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების კონტროლის მკაფიო დემონსტრირების გარეშეც, მისი ქმედებები 2008 წლამდეც ყოველმხრივ მიანიშნებდა მზარდ კონტროლზე როგორც დე ფაქტო ინსტიტუციებზე, ისე მოსახლეობაზეც. ამის ყველაზე ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. 'პასპორტიზაციის' პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც რუსეთის ფედერაციამ ხელოვნურად გაზარდა საკუთარი მოქალაქეების რიცხვი აფხაზეთსა და სამხრეთ

<sup>36</sup> 'Military occupation of Georgia by Russia' (Rule of Law in Armed Conflict – RULAC) available at <<https://www.rulac.org/browse/conflicts/military-occupation-of-georgia-by-russia#collapse1accord>>.

<sup>37</sup> See eg: UNSC, S/Res/849 (1993), 9 July 1993, preamble §2; UNSC, S/Res/876 (1993), 19 October 1993, §1; UNSC, S/Res/1808 (2008), §1.

ოსეთში მათთვის რუსული მოქალაქეობის მარტივად მიღების შეთავაზებით. ფართომასშტაბიანი პასპორტიზაცია, ისევე როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარკვეულ პოლიტიკურ თანამდებობებზე ყოფილი რუსი მაღალჩინოსნების დანიშვნა, ევროკავშირის დამოუკიდებელმა ფაქტების დამდგენმა კომისიამ (ე.წ. ტალიავინის კომისია) შეაფასა ‘მცოცავ ანექსიად’,<sup>38</sup> რომელიც 2008 წლამდე დაიწყო.

### 2008 წლამდე არსებული სიტუაცია და კონტროლის საკითხი

აქტიური შეიარაღებული მოქმედებების დაწყებამდეც, რუსეთის ფედერაცია არასამხედრო გზით უკვე ჩართული იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გავლენების შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. ამას რუსეთი რამდენიმე მიმართულებით აკეთებდა:

**სამხედრო დახმარება** - ჯერ კიდევ კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა აქტიური სამხედრო მოქმედებები, მაღალი ალბათობით, რუსეთის ფედერაცია, როგორც მინიმუმ, იარაღით ამარავებდა აფხაზეთში მებრძოლ შეიარაღებულ დაჯუფებებს.<sup>39</sup> ასევე, გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვას არცერთი დამოუკიდებელი აქტორი არ ადასტურებდა.<sup>40</sup> ამასთანავე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მანდატით განთავსებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები, რომელთა რიცხვი 3000-ს აღწევდა, წარმოშობდა საქართველოს წუხილებს მათი მიუკერძოებლობის და მშვიდობისმყოფელობის შესახებ.<sup>41</sup>

**ჰასპორტიზაცია** - 2002 წლიდან რუსეთმა აქტიურად დაიწყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება გამარტივებული პროცედურით.<sup>42</sup> ე.წ. ‘ჰასპორტიზაციის’ პოლიტიკა იმდენად ფართომასშტაბიანი გახდა, რომ უკვე 2007 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდა.<sup>43</sup> მიიჩნევა, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის ფართომასშტაბიანი მოქალაქეობის მიცემა არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და, შესაბამისად, უკანონოა.<sup>44</sup>

**ეკონომიკური და სხვა სახის გავლენები** - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე რუსეთის ფედერაციის მოქმედი ან ყოფილი სამოქალაქო და სამხედრო ჩინოსნები ინიშნებოდნენ, რაც შეფასებულია, როგორც ‘მცოცავი ანექსიის’ მაგალითი.<sup>45</sup> ამასთანავე, აფხაზეთის ეკონომიკა სრულად გახდა დამოუკიდებული რუსეთზე, სადაც მხოლოდ რუსული ინვესტიციები შედიოდა. რუსეთი ასევე უხდიდა პენსიებს აფხაზეთის მცხოვრებლებს.<sup>46</sup>

ყოველივე ამის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, ძამასახლისი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ რუსეთის

<sup>38</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Volume II, September 2009, 18-19.

<sup>39</sup> *Mamasakhilisi and Others v. Georgia and Russia*, (Application nos. 29999/04 and 41424/04), Judgment, European Court of Human Rights, Strasbourg, 7 March 2023, final, 07/06/2023, para. 323.

<sup>40</sup> Ibid, para. 327.

<sup>41</sup> Ibid, para. 325-326.

<sup>42</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, (n 38) 147.

<sup>43</sup> (n 39), para 330.

<sup>44</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, (n 38) chapter III.

<sup>45</sup> Ibid, 19.

<sup>46</sup> Ibid, 18-19.

ფედერაციას აფხაზეთზე ეფექტიანი კონტროლი პქონდა ჯერ კიდევ 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე პერიოდში.<sup>47</sup>

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა სამართლის მიზნებისათვის პირთა ჯგუფისა და ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლის დადგენა აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ეს ტერიტორია ჩაითვალოს ოკუპირებულად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გაგებით. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ინფორმაცია და მტკიცებულებები მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაციას ჯერ კიდევ 2008 წლამდე პქონდა, როგორც მინიმუმ, ზოგადი კონტროლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დეფაქტო მთავრობებზე, რაც საკმარისი საფუძველია რუსეთის ამ ტერიტორიების იყვანანტ ძალად მისაჩევად. თუმცა, რუსეთის გავლენები ამ ტერიტორიებზე, საქართველოს 2008 წლამდე სამხედრო ოკუპაციის კონტექსტში თავად არასოდეს განუხილავს.

### 3.2. რა სამართლებრივი საფუძვლით დგინდება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია რუსეთის ფედერაციის მიერ

#### (a) აფხაზეთი

რუსეთსა და აფხაზეთს შორის 2010 წლის შეთანხმების საფუძველზე (რომელიც მოქმედებს 49 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ის ავტომატურად გრძელდება ყოველ თხუთმეტ წელიწადში ერთხელ), რუსეთს განთავსებული ჰყავს სამხედრო ბაზა აფხაზეთში, გუდაუთაში.<sup>48</sup> საქმეში, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II), რუსეთმა თავად აღიარა ამ სამხედრო ბაზის შექმნა 2010 წელს აფხაზეთთან შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ და განაცხადა, რომ იქ განთავსებულია სამხედრო პერსონალი და სამხედრო ტექნიკა.<sup>49</sup> რუსეთსა და აფხაზეთს შორის 2009 წლის გაფორმებული კიდევ ერთი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი აფხაზეთს ასევე ეხმარება საქართველოსთან ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის დაცვასა და პატრულირებაში.<sup>50</sup>

საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის მონაცემებით,<sup>51</sup> 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი სამხედრო ყოფნა აფხაზეთში. მან განათავსა 5000 პერსონალი, საიდანაც 3500 სამხედრო, ხოლო 1500 ფედერალური უშიშროების სამსახურს წარმოადგენდა. ომის შემდგომ წლებში რუსეთმა ასევე დახარჯა 465 მლნ აშშ დოლარი აფხაზეთში სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწყობასა და მოდერნიზებაზე, რაც ასევე მოიცავდა გუდაუთაში სამხედრო აეროდრომ 'ბომბორას' რეაბილიტაციასაც, სადაც 2012 წლისათვის ოთხი საბრძოლო თვითმფრინავი იყო ბაზირებული.

რუსეთმა ასევე ამუშავა ოჩამჩირის საზღვაო პორტი, სადაც განათავსა რვა საპატრულო ხომალდი. მან ასევე გადაიბარა აფხაზეთის სახმელეთო სასაზღვრო კონტროლი. სამხედრო

<sup>47</sup> (n 39).

<sup>47</sup> Ibid, para. 339.

<sup>48</sup> 'Russia Gains Military Base in Abkhazia' (*Radio Free Europe/Radio Liberty*, 17 February 2010) available at <[https://www.rferl.org/a/Russia\\_Gains\\_Military\\_Base\\_In\\_Abkhazia/1960545.html](https://www.rferl.org/a/Russia_Gains_Military_Base_In_Abkhazia/1960545.html)>.

<sup>49</sup> ECtHR, *Georgia v Russia (II)*, Grand Chamber, Judgment, App no 38263/08, 21 January 2021, paras. 150, 165.

<sup>50</sup> 'Russia Steps Up Cooperation With Breakaway Georgian Regions' (*Radio Free Europe/Radio Liberty*, 30 April 2009) available at <[https://www.rferl.org/a/Russia\\_Steps\\_Up\\_Cooperation\\_With\\_Breakaway\\_Georgian\\_Regions/1619281.html](https://www.rferl.org/a/Russia_Steps_Up_Cooperation_With_Breakaway_Georgian_Regions/1619281.html)>.

'Abkhazia: Deepening Dependence' (*International Crisis Group*) Report No 202, 26 February 2010, 4;

*Georgia v Russia (II)*, (n 49) para. 172.

<sup>51</sup> Abkhazia: The Long Road to Reconciliation' (*International Crisis Group*) Report No 224, 10 April 2013, 3-6.

პერსონალისა და მათი ოჯახის წევრებისათვის აშენდა საცხოვრებელი კომპლექსი საჭირო ინფრასტრუქტურით.

2014 წლის 24 ნოემბერს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელმოწერილი კავშირისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ‘შეთანხმება’ მიზნად ისახავს რეგიონის რუსეთის სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სივრცეში ჩართვას და ასევე უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო სივრცის შექმნას.<sup>52</sup> ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ორმხრივი თავდაცვის პაქტს და მოიაზრებს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული ჯგუფის შექმნას აგრესიის მოსაგერიებლად. ამ მიზნით, 2015 წელს, რუსეთსა და აფხაზეთს შორის ცალკე ხელშეკრულება გაფორმდა. ეს შეთანხმება ითვალისწინებს სამხედრო წვრთნების ერთობლივ ჩატარებას და ადგენს, რომ ‘შეიარაღებული ძალების გაერთიანებული ჯგუფი შედგება ერთობლივი რუსული სამხედრო ბაზისგან, რომელიც მდებარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც რუსეთის კომპონენტი. და ორი მოტომსროლელი ბატალიონი, საარტილერიო ჯგუფი და საავიაციო ჯგუფი, ასევე სპეცდანიშნულების რაზმი, როგორც აფხაზეთის შემადგენელი ნაწილი.’<sup>53</sup>

რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას შორის 2014 წელს დადებული ე.წ. ‘შეთანხმება კავშირისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ’ მოიცავს ორმხრივ ვალდებულებებს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში,<sup>54</sup> კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, მხარეები:

- შიდა და საგარეო პოლიტიკას ერთმანეთთან კოორდინირებულად წარმართავენ;
- ქმნიან ერთიან თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცეს;
- აფუძნებენ ერთიან სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეს;
- ითვალისწინებენ აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებას;
- ქმნიან პირობებს აფხაზეთის პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვისათვის რუსეთის ფედერაციის ინიციატივითა ან/და მასთან თანამშრომლობით;
- ინარჩუნებენ ერთობლივ კულტურულ, სულიერ და ჰუმანიტარულ კავშირებს.

ე.წ. ‘შეთანხმება’ დაიდო 10 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად გრძელდება ხუთ-ხუთი წლით, თუკი, რომელიმე მხარე, ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ექვსი თვისა წერილობითი შეტყობინების გზით არ განაცხადებს შეთანხმებიდან გასვლის სურვილის შესახებ.<sup>55</sup>

სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების ნაკლები რაოდენობა იკავებს მაღალ სამხედრო და უსაფრთხოების პოზიციებს, თუმცა ზოგიერთი შესამჩნევი

<sup>52</sup> ‘Moscow, Sokhumi Sign Treaty on “Alliance and Strategic Partnership”, (*Civil.Ge Daily News Online*, 24 November 2014) available at <<https://civil.ge/archives/124178>>. See also Annyssa Bellal (ed), *The War Report. Armed Conflict in 2014*, (Oxford University Press, 2015) 85.

<sup>53</sup> ‘Law on Ratification of Russia-Abkhazia Agreement on Joint Group of Forces’, (*The President of Russia*, 21 November 2016) available at <<http://en.kremlin.ru/acts/news/53291>>; ‘Russian Parliament Ratifies Agreement on Joint Russia-Abkhazia Group of Forces’, (*TASS*, 2 November 2016) available at <<https://tass.com/defense/910201>>.

<sup>54</sup> Договор Между Республикой Абхазия И Российской Федерации О Союзничестве И Стратегическом Партнерстве (Сочи, 24 Ноября 2014 Года) <<https://invest.apsny.land/images/pdf/dogovor-mezhdu-respublikoy-abkhaziya-i-rossiyskoy-federatsiey-o-soyuznichestve-i-strategicheskem-par.pdf>>.

<sup>55</sup> იქვე, მუხლი 23.

გამონაკლისის გარდა. აფხაზეთის თითქმის მთელ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობა აქვს.<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა სხვადასხვა ანგარიშზე, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ‘რუსეთის ფედერაციასა და ... აფხაზეთს შორის დამოკიდებულების არა მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური, არამედ სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.’<sup>57</sup>

2022 წლის აპრილში აფხაზეთის ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი კვლავ აპირებენ სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ სვლას, მაშინ როცა სამხრეთ ოსეთში მსჯელობდნენ რუსეთთან შესაძლო ანექსის შესახებ.

საერთო ჯამში, რუსეთი აფხაზეთის ოკუპაციას ახორციელებს მისი პირდაპირი სამხედრო ყოფნის საშუალებით, რასაც ემყარება სეპარატისტულ ერთეულთან შეთანხმებების სერია. საერთაშორისო კრიზისული ჯავაზის თანახმად, ‘მისი [რუსეთის] კონტროლის გათვალისწინებით აფხაზეთის „საზღვრებზე“, გზებსა და ზღვაზე, რუსეთს არ სჭირდება ძლიერი მუდმივი ყოფნა, რადგან მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ შეიტანოს სამხედრო ტექნიკა და ჯარები ობიექტში და გარეთ.’<sup>58</sup> ადგილობრივი სეპარატისტული შეიარაღებული ჯგუფები ასევე შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის მარიონეტებად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან კოორდინაციის მაღალი დონისა და რუსეთის მიერ გაწეული სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის გათვალისწინებით, რაც რუსეთის მიერ პროქსი რეჟიმის ზოგად კონტროლზე მიანიშნებს.

შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორია საერთაშორისო სამართლის მიხედვით რუსეთის მიერ ოკუპირებულად ჩაითვალება პირველ რიგში იმ სამხედრო ყოფნის გამო, რომელიც საქართველოს თანხმობის გარეშე ხორციელდება და ამას გარდა აფხაზეთის დე ფაქტო მმართველობასთან იმ მქიდრო კავშირების გამო, რომელიც რუსეთის მიერ ამ რეჟიმის ზოგად (შესაძლოა ეფექტიან) კონტროლზე მიუთითებს.

### (b) ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი

2008 წლიდან რუსეთმა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები განათავსა სამხრეთ ოსეთში. საქმეში, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II), თავად რუსეთმა აღიარა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ სამხრეთ ოსეთში სამხედრო ყოფნის შესახებ და შემდეგ ასევე 2008 წლის 23 აგვისტოდან ერთობლივი სამხედრო ბაზის შექმნა.<sup>59</sup> ამჟამად, სამხრეთ ოსეთთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, რუსეთი ცხინვალში ოპერირებას უწევს სამხედრო ბაზას, რომელზეც სხვა იარაღთან ერთად ტაქტიკური რაკეტები და რაკეტისაწინააღმდეგო რაკეტებიცაა განთავსებული.<sup>60</sup>

<sup>56</sup> ‘Back to the USSR: Putin and the new Cold War’, (*The Globe and Mail*, 16 March 2018), available at <<https://www.theglobeandmail.com/world/article-back-to-the-ussr-putin-and-the-new-cold-war>>; ‘Abkhazia: Deepening Dependence’, (n 50).

<sup>57</sup> *Georgia v Russia* (II), (n 49) paras. 167, 166, 168, 174.

<sup>58</sup> ‘Abkhazia: The Long Road to Reconciliation’ (n 51).

<sup>59</sup> *Georgia v Russia* (II), (n 49) paras. 165 and 150.

<sup>60</sup> ‘South Ossetia: The Burden of Recognition’ (*International Crisis Group*, Report No 205, 7 June 2010) 7-8, available at <<https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/south-ossetia-burden-recognition>>; ‘Russia Expands Military Footprint Abroad with New Syria Base’, (*Aljazeera*, 18 September 2015) available at <<http://america.aljazeera.com/articles/2015/9/18/russia-foreign-military-bases.html>>; ‘Russian Military Bases Abroad: Facts and Details’ (*Sputnik*, 7 October 2016) available at <<https://sputniknews.com/military/201610071046123220-russian-abroad-military-bases/>>.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მიერ 2010 წელს შექმნილ სამხედრო ბაზაზე 3285 სამხედრო პერსონალი და 305 სამხედრო შეიარაღება იმყოფებოდა.<sup>61</sup> სხვა მონაცემებით, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გახსნა მუდმივი სამხედრო ბაზა, რომლის ხუთ სხვადასხვა ლოკაციაზე 5000-მდე პერსონალი განათავსა.<sup>62</sup>

აფხაზეთის მსგავსად, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის 2009 წელს გაფორმებული კიდევ ერთი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ეხმარება სამხრეთ ოსეთს საქართველოსთან ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის დაცვასა და პატრულირებაში.<sup>63</sup> რუსეთის ჯარები ასევე განგრძობითად ახორციელებენ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის ადმინისტრაციულ საზღვარზე მავთულის ღობების მონტაჟს, რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაწევას საქართველოს ცენტრალური მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიაზე - პროცესი, რომელიც ცნობილია "ბორდერიზაციად".<sup>64</sup>

2015 წლის კავშირისა და ინტეგრაციის ე.წ. 'შეთანხმება' რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ითვალისწინებს თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთო სივრცის ფორმირებას და ითვალისწინებს ორმხრივ თავდაცვის პაქტის დადებას. ფაქტობრივად, ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის თავდაცვასა და უსაფრთხოებას, მათ შორის მის საზღვრებს საქართველოსთან.<sup>65</sup> როგორც 2015 წლის კავშირისა და ინტეგრაციის შეთანხმებით დადგინდა, 2017 წელს სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ ოსეთის ზოგიერთი სამხედრო ნაწილის რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანების შესაძლებლობას.<sup>66</sup>

რუსეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობას შორის 2015 წელს დადებული ე.წ. 'შეთანხმება კავშირისა და ინტეგრაციის შესახებ'<sup>67</sup> თითქმის იდენტურია აფხაზეთთან გაფორმებული მსგავსი შეთანხმებისა. ის მოიაზრებს ერთიანი საგარეო პოლიტიკის წარმოებას, თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი სივრცის შექმნას, საზღვრის თავისუფალ კვეთას და სამხრეთ ოსეთის საბაჟო ორგანოების სრულ ინტეგრაციას რუსეთის საბაჟო სისტემაში, შინაგან საქმეთა საინფორმაციო-საკოორდინაციო ერთობლივი ცენტრის შექმნას, რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეებისათვის

<sup>61</sup> Georgia v Russia (II), (n 49) para. 150.

<sup>62</sup> David L. Phillips, *Implementation Review: Six-Point Ceasefire Agreement Between Russia and Georgia*, (The National Committee on American Foreign Policy and Institute for the Study of Human Rights, August 2011) 10.

<sup>63</sup> Russia Steps Up Cooperation with Breakaway Georgian Regions' (n 50); 'South Ossetia: The Burden of Recognition' (n 60) 7; Georgia v Russia (II), (n 49) para. 172.

<sup>64</sup> 'Georgia Accuses Russia of Violating International Law Over South Ossetia', (*The Guardian*, 14 July 2015), available at <<https://www.theguardian.com/world/2015/jul/14/georgia-accuses-russia-of-violating-international-law-over-south-ossetia>>; 'South Ossetia' (Global Security) available at <<https://www.globalsecurity.org/military/world/war/south-ossetia.htm>>; 'Georgia: Behind barbed wire: Human rights toll of "borderization" in Georgia' (Amnesty International) available at <<https://www.amnesty.org/en/documents/eur56/0581/2019/en/>>.

<sup>65</sup> 'Russia and South Ossetia to Sign Treaty on Alliance and Integration' (TASS, 18 March 2015) available at <<https://tass.com/russia/783474>>; M. Otarashvili, *Russia's Quiet Annexation of South Ossetia* (Foreign Policy Research Institute, 11 April 2017).

<sup>66</sup> 'Putin Gives Green Light For Incorporating Some South Ossetian Units Into Russian Army', (RFE/RL, 20 March 2017) available at <<https://www.rferl.org/a/russia-south-ossetia-army-incorporation/28379998.html>>.

<sup>67</sup> Договор между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о союзничестве и интеграции 18 марта 2015 года <<http://kremlin.ru/supplement/4819>>.

პენსიისა და დაზღვევის უზრუნველყოფას, ასევე, ერთობლივ თანამშრომლობას ეკონომიკის, ინვესტიციების, განათლების, კულტურის, სპორტისა და მეცნიერების სფეროში.

რუსეთსა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს შორის დადებული ე.წ. ‘შეთანხმება’ გაფორმებულია 25 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად გრძელდება ათ-ათი წლით, თუკი რომელიმე მხარე, ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ერთი წლისა წერილობითი შეტყობინების გზით არ განაცხადებს შეთანხმებიდან გასვლის სურვილის შესახებ.<sup>68</sup>

უფრო ფართოდ, 2008 წლიდან რუსეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა სამხრეთ ოსეთში თავისი გავლენები სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. რუსეთის მიერ დე ფაქტო ერთეულის კონტროლის დონის ნათელი გამოვლინება ის ფაქტიც, რომ ის პირდაპირ ფინანსურ დახმარებას უწევს სამხრეთ ოსეთს. 2008 წლიდან ეს დახმარება სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის 99%-ს შეადგენს და მთავრობის თანამშრომელთა ნახევარზე მეტი რუსეთიდანაა.<sup>69</sup> ECtHR-მა მოიხსენია სხვადასხვა ანგარიში, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას „რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის დამოკიდებულების არა მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური, არამედ სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისითაც“.<sup>70</sup> რუსეთი აკონტროლებს გადაწყვეტილების მიღებას ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა საზღვარი, საზოგადოებრივი წესრიგი და საგარეო ურთიერთობები.<sup>71</sup> ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის წლიური ბიუჯეტის მთავარი წყაროც სწორედ რუსეთისგან მიღებული სახსრებია.<sup>72</sup>

2022 წლის მარტის ბოლოს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგეგმებოდა რეფერენდუმის ჩატარება რეგიონის რუსეთთან მიერთების შესახებ, თუმცა შემდგომ არჩეულმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება ‘რეფერენდუმზე წარდგენილი საკითხის სამართლებრივი შედეგების გაურკვევლობის’ მოტივით გაუქმა.<sup>73</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ რუსეთი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას ახდენს თავისი რეგულარული ჯარების არსებობით, რასაც ემყარება მთელი რიგი შეთანხმებები სეპარატისტულ ტერიტორიასთან. გარდა ამისა, ადგილობრივი შეიარაღებული ჯგუფები ასევე შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის მართულ ძალებად მათი საკმაოდ მოკრძალებული ზომის, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან კოორდინაციის მაღალი დონის, რუსეთის მოქალაქეებით დაკომპლექტებული სარდლობის სტრუქტურებისა და რუსეთის მიერ

<sup>68</sup> იქვე, მუხლი 15.

<sup>69</sup> South Ossetia: Rise of a New Politics and Foreign Policy' (*International Crisis Group*, 17 February 2012) available at <<https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/south-ossetia-rise-new-politics-and-foreign-policy>>; 'South Ossetia: The Burden of Recognition' (n 60).

<sup>70</sup> Georgia v Russia (II) (n 49) paras. 167, 166, 168, and 174.

<sup>71</sup> 'South Ossetia: The Burden of Recognition' (n 60). For a similar assessment of the Russian influence, see N. Kalandarishvili-Mueller, 'On the Occasion of the Five-year Anniversary of the Russian Georgian War: Is Georgia Occupied?', (*EJIL: Talk Blog*, 1 October 2013) available at <<https://www.ejiltalk.org/on-the-occasion-of-the-five-year-anniversary-of-the-russian-georgian-war-is-georgia-occupied/>>.

<sup>72</sup> იხ. მაგალითად მონაცემები 2023 წლისთვის: 'Separatist Tskhinvali Region Faces Significant Budget Deficit' (*Caucasus Watch*, 12 September 2023) available at <<https://caucasuswatch.de/en/news/separatist-tskhinvali-region-faces-significant-budget-deficit.html>>.

<sup>73</sup> 'Crisis Watch: Georgia' (*International Crisis Group*) available at <[https://www.crisisgroup.org/crisiswatch/database?location%5B%5D=62&date\\_range=last\\_12\\_months&from\\_month=01&from\\_year=2022&to\\_month=01&to\\_year=2022](https://www.crisisgroup.org/crisiswatch/database?location%5B%5D=62&date_range=last_12_months&from_month=01&from_year=2022&to_month=01&to_year=2022)>; 'Georgia's South Ossetia cancels referendum on joining Russia', (*Al Jazeera*, 31 May 2022) available at <<https://www.aljazeera.com/news/2022/5/31/georgias-south-ossetia-cancels-referendum-on-joining-russia>>.

გაწეული სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის გათვალისწინებით, რაც, შესაძლოა, გაუთანაბრდეს რუსეთის მიერ დე ფაქტო რეჟიმის ეფექტიან კონტროლს.

### (c) ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმება და მისი შესრულება

2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის აქტიური საომარი ფაზა ე.წ. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმებით დასრულდა.<sup>74</sup> შეთანხმება მეტად კომპლექსურია, ის რამდენიმე დოკუმენტისგან შედგება და არეგულირებს ცეცხლის შეწყვეტის, ჰუმანიტარული კორიდორის, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების დისლოკაციის პრინციპებს. აქტის გაფორმების მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია არღვევს დოკუმენტით განსაზღვრულ არაერთ დებულებას, კერძოდ: რუსეთის სამხედრო ძალები არ დაბრუნებულან შეიარაღებულ კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, გრძელდება საოკუპაციო ხაზიდან ადამიანების გატაცება და მათთვის თავისუფლების აღკვეთა, შეზღუდულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული მიზნით ტვირთისა და ადამიანების გადაადგილება.

რუსეთის ძალების უკან გაყვანის ვალდებულება გულისხმობს მათ იმ პოზიციებზე დაბრუნებას, სადაც იმყოფებოდნენ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე. სხვადასხვა მონაცემებით, უშუალოდ აქტიური სამხედრო მოქმედებების დროს, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე შემოიყვანა დაახლოებით 30 000-მდე პერსონალი და ასეულობით ჯავშანტექნიკა და შეიარაღება.<sup>75</sup> შეთანხმების მეხუთე პუნქტი სწორედ ამ ძალების უკან დაბრუნების ვალდებულებას მოიაზრებდა. დამოუკიდებელი ფაქტების დამდგენი კომისიის დასკვნის მიხედვით, რუსეთის ფედერაციამ, უკან დახვევის მაგივრად, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ პირიქით დაიკავა მეტი ტერიტორია, ეს არის ახალგორის რაიონი, რომელიც მან 16 აგვისტოს დაიპყრო.<sup>76</sup> რუსეთის ძალების უმეტესმა ნაწილმა უკან დაიხია და 22 აგვისტოსთვის მათ დატოვებული ჰქონდათ საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია და ისინი უკვე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიგნით განთავსდნენ.<sup>77</sup> თუმცა ექვსპუნქტიანი შეთანხმება მათ თავდაპირველ ადგილმდებარეობაზე დაბრუნებას ითვალისწინებდა. 2008 წლის 8 სექტემბერს, მოსკოვში მიღწეულ იქნა ახალი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს ძალები ერთი თვის განმავლობაში უნდა გასულიყვნენ მათი თავდაპირველი დისლოკაციის ადგილზე.<sup>78</sup> 2008 წლის 9 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მათმა ძალებმა დატოვეს 'სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონები'.<sup>79</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, 2008 წლის 10 ოქტომბრისათვის რუსეთს უკვე დასრულებული ჰქონდა ე.წ. 'ბუფერულ ზონებში' განთავსებული საკუთარი ჯარების სრულად

<sup>74</sup> შეთანხმების პროტოკოლი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელმოწერით, 12 აგვისტო 2008 წელი, ხელმისაწვდომია: <[http://iccn.ge/files/6-point\\_plan\\_sarkozy\\_2008.pdf](http://iccn.ge/files/6-point_plan_sarkozy_2008.pdf)>; ექვს პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმება საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების ხელმოწერით, 15 აგვისტო 2008 წელი, ხელმისაწვდომია: <[http://iccn.ge/files/6-point\\_plan\\_by\\_saakashvili\\_and\\_sarkozy.pdf](http://iccn.ge/files/6-point_plan_by_saakashvili_and_sarkozy.pdf)>; რუსეთის ფედერაციისა და საფრანგეთის რესპუბლიკის შეთანხმება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელმოწერით, 16 აგვისტო 2008 წელი, ხელმისაწვდომია: <[http://iccn.ge/files/6-point\\_plan\\_signed\\_by\\_medvedev\\_august\\_2008.pdf](http://iccn.ge/files/6-point_plan_signed_by_medvedev_august_2008.pdf)>.

<sup>75</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, (n 38) 216.

<sup>76</sup> Ibid, 219.

<sup>77</sup> Ibid.

<sup>78</sup> 'Russia Agrees Troops Pullout From Georgian Heartland Within "Month", RFERL, 9 September, 2008, available at: [https://www.rferl.org/a/Russia\\_Agrees\\_Troops\\_Pullout\\_From\\_Georgia\\_Heartland/1197424.html](https://www.rferl.org/a/Russia_Agrees_Troops_Pullout_From_Georgia_Heartland/1197424.html)

<sup>79</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, (n 38) 219.

გაყვანა, გარდა სოფელ პერევისა (საჩხერის რაიონი), საიდანაც რუსები 2010 წლის 18 ოქტომბერს გავიდნენ.<sup>80</sup>

რუსეთის ძალების უკან გაყვანის პუნქტი რეალურად მოიცავდა მათ დაბრუნებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ დისლოკაციის ადგილებზე, რადგან მათი უმეტესობა სწორედ რუსეთიდან შემოვიდა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შეიარაღებული მოქმედებების მიმდინარეობისას, თუმცა რეალურად რუსები ამ პუნქტს მათი საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გასვლად აღიქვამდნენ. შესაბამისად, თუნდაც მხოლოდ ახალგორის რაიონისა და კოდორის ხეობის დაკავებით, რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება.<sup>81</sup> ხოლო შემდეგ უკვე ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებითა და მათზე მუდმივი სამხედრო ყოფნით, ფაქტობრივად ძირი გამოუთხარა ექვსპუნქტიანი შეთანხმების მიზანსა და სულისკვეთებას.

ექვსპუნქტიანი შეთანხმება სპეციფიკური სამართლებრივი ხასიათისაა, არცერთ დოკუმენტზე არ ფიქსირდება კონფლიქტის მხარეების ხელმოწერა ერთდროულად, არამედ ოთხი დამოუკიდებელი აქტის ერთობლიობა ქმნის ერთიან იურიდიულ შინაარსს.<sup>82</sup> ამავე კონტექსტის ნაწილია, თუმცა საერთაშორისო სამართლებრივად არარელევანტური და იურიდიული ძალის არმქონეა სერგეი ბადაფშისა და ედუარდ კოკოითის მიერ ხელმოწერილი, რუსეთის ფედერაციის მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ დოკუმენტი.<sup>83</sup> შეთანხმების ეს ფორმა უცნაური ჰიბრიდია, რამდენადაც აერთიანებს წინაარე მოლაპარაკების შეთანხმებისა და სუბსტანციური შეთანხმების ელემენტებს.<sup>84</sup> ერთი მხრივ, აქტი დეკლარაციული ხასიათისაა და კლასიკური სახის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ბუნდოვანია მისი სამართლებრივად მბოჭავი ბუნება. კერძოდ, კონფლიქტში მონაწილე ორივე სახელმწიფო დამოუკიდებლად აწერს ხელს შეთანხმების სხვადასხვა დოკუმენტს და რჩება შთაბეჭდილება, რომ მხარეები ორმხრივ ვალდებულებებს ცალმხრივად აღიქვამენ და მეორე მხარის თვალსაწიერიდან დანახულ შეთანხმების სამართლებრივ შინაარსს ყურადღებას არ აქცევენ.<sup>85</sup> მეორე მხრივ, შეთანხმება წერილობითი ფორმით არის დადებული, მისი მონაწილე მხარე სამი სახელმწიფოა (მესამე-საფრანგეთის რესპუბლიკა, როგორც შუამავალი) და რეგულირების სფერო საერთაშორისო სამართლებრივია, შესაბამისად, ყველა კომპონენტი არსებობს დოკუმენტისათვის ვენის კონვენციით განსაზღვრული ხელშეკრულების სტატუსის მისანიჭებლად.<sup>86</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სამშვიდობო შეთანხმებების საერთაშორისო სამართლებრივ კატეგორიზაციაზე არ არსებობს კონსენსუსი,<sup>87</sup> აღიარებულია, რომ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის ფარგლებში გაფორმებულ შეთანხმებებს სწორედ საერთაშორისო ხელშეკრულების კვალიფიკაცია ენიჭება.<sup>88</sup>

<sup>80</sup> Georgia v. Russia (II), (n 49) para. 44.

<sup>81</sup> David L. Phillips, (n 62) 9-10.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> რუსეთის ფედერაციისა და საფრანგეთის რესპუბლიკის შეთანხმება სერგეი ბადაფშისა და ედუარდ კოკოითის ხელმოწერით, 16 აგვისტო 2008 წელი, ხელმისაწვდომია: <[http://iccn.ge/files/6-point\\_plan\\_signed\\_by\\_bagapsh\\_and\\_kokoity.pdf](http://iccn.ge/files/6-point_plan_signed_by_bagapsh_and_kokoity.pdf)>

<sup>84</sup> Bell C., ‘Peace Agreements: Their Nature and Legal Status’ in *The American Journal of International Law*, Vol. 100, No. 2 (Apr. 2006) 376.

<sup>85</sup> Ibid, 377.

<sup>86</sup> Vienna Convention on the Law of the Treaties (1969), art.1(a).

<sup>87</sup> Bell (n 84) 379.

<sup>88</sup> Bell C. Monty G. Marshall & Ted Robert Gurr, *Peace and Conflict 2005: A Global Survey of Armed Conflicts, Self-Determination Movements, and Democracy* (2005) 11-12. available at <<http://www.cidcm.umd.edu/inscr/PC05print.pdf>>.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება წინამდებარე სტატიისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საჭიროა დადგინდეს, ხომ არ შეიცავს ის იმგვარ ჩანაწერს, რომლის ინტერპრეტაციაც გავლენას მოახდენს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიის, სტატუსზე და მათზე მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმზე.

იმის მიუხედავად, რომ შეთანხმების უმეტესი ნაწილი ძალის გამოყენებისა და ჰუმანიტარულ საკითხებს ეთმობა, მისი ბოლო პუნქტი შეიცავს მინიშნებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების ხანგრძლივი უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო განხილვების დაწყების საჭიროებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების ფართო განმარტება გვაძლევს საფუძველს მსჯელობისთვის, რომ უსაფრთხოების გარანტიები, შესაძლოა, სამომავლოდ მოიაზრებოდეს რომელიმე უცხო სახელმწიფოს ჯარების განლაგება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თუკი ამგვარი განვითარება არ იქნება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და, განსაკუთრებით კი, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, მაშინ ნებისმიერი გადაწყვეტა ჩაითვლება ამ ტერიტორიების ოკუპაციად. მაგრამ, აღნიშნული დებულების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა ამ ეტაპზე ფაქტობრივად წარმოუდგენელია, მას შემდეგ რაც რუსეთის ფედერაციამ უხეშად დაარღვია შეთანხმების სხვა მუხლები და ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. შესაბამისად, განსახილველი ნორმის პრაქტიკული აღსრულების სავარაუდო სცენარები და მათი სამართლებრივი შეფასება ამ ეტაპზე მხოლოდ სპეცულაცია იქნება და რთულია იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მსჯელობა, რომლის პრაქტიკაში რეალიზების აღბათობა თითქმის არ არსებობს უახლოეს მომავალში.

#### (d) საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტიდან ძალიან მაღევე, 2008 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი“. კანონის პრეამბულა მიუთითებს ჰააგის რეგულაციებზე, ჟენევის ოთხ კონვენციასა და საერთაშორისო ჩვეულებით ჰუმანიტარულ სამართალზე და განმარტავს, რომ ამ წყაროების შესაბამისად საქართველოს ცალკეული ტერიტორიები ოკუპირებულია უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ.<sup>89</sup> აღნიშნულ დებულებაზე დაყრდნობით შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონი მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს დასახელებული ინსტრუმენტებისა და ნორმების მოთხოვნებს.

კანონი განმარტავს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები მოიცავს აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთის გასწვრივ მდებარე საზღვაო ზონას (მათ შორის, შიდა წყლებს, ტერიტორიულ ზღვას, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას და კონტინენტურ შელფს) და შესაბამისი სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიების ზემოთ არსებულ საპარო ზონას.<sup>90</sup> კანონი ამ ტერიტორიებზე სპეციალურ რეჟიმს ავრცელებს განუსაზღვრელი ვადით, სანამ კანონი იმოქმედებს. ეს რეჟიმი მოიცავს შეზღუდვას ზოგიერთ საქმიანობაზე.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი ეფუძნება იმ ძირითად პრინციპს, რომ საქართველოს რეგიონები - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ეს ტერიტორიები უკანონოდ არის ოკუპირებული. ეს საკითხი ცალსახად არის გამოხატული კანონის პრეამბულაში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე მითითებით და ამ ტერიტორიებზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოფნის „სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო ოკუპაციად“ შერაცხვით.

<sup>89</sup> ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი, 23 ოქტომბერი, 2008წ. N431-IIს, პრეამბულა.

<sup>90</sup> იქვე, მუხ. 2.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძალაში რჩება მხოლოდ ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ოკუპაციის დაწყებამდე მოქმედებდა. ვინაიდან „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი“ ოკუპაციის დაწყების შემდეგ იქნა მიღებული, ოკუპაციის სამართლის მიზნებისთვის მისი დებულებები თავად კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება. ამრიგად, ოკუპანტ ძალას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით არ ეკისრება ვალდებულება, რომ აღასრულოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი“. კანონის მიზანია ოკუპაციის ფაქტის მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირება, ამასთანავე, საერთაშორისო აქტორების და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით ურთიერთობის მოწესრიგება არაღიარების პოლიტიკის ჩარჩოს ქვეშ. ამრიგად, კანონი წარმოადგენს საქართველოს ოფიციალურ პოზიციას ოკუპაციის საკითხზე და ფორმალურად ის შესაძლოა მხოლოდ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე აღსრულდეს.

### **3.3. საერთაშორისო აქტორების შეფასებები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით**

**(ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს მოიხსენიებს ოკუპირებულად 2008 წლის შემდეგ**

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველო აქტიურად იყენებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლისათვის. მთლიანობაში საქართველოს სასამართლოში წარმოებული აქვს ოთხი სახელმწიფოთაშორისი დავა, საიდანაც სამი მეტწილად საქართველოსათვის სასარგებლო შედეგით დასრულდა, ერთი კი, სადაც საკითხის მოგვარების გამო, ამოირიცხა განსახილველი საქმეების სიიდან.

რუსეთის წინააღმდეგ წარმოწყებული ოთხი სამართლებრივი დავიდან, მხოლოდ სამი ეხება აფხაზეთისა და/ან ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. აქედან ერთ-ერთი საქმე, რომელიც შეეხებოდა 2009 წლის ოსური ფორმირებების მიერ ოთხი ქართველი მცირეწლოვნის გატაცებას, სასამართლომ ამორიცხა განსახილველი საქმეების სიიდან, რადგან ოფიციალური პროცედურის დაწყებიდან მალევე ეს მცირეწლოვნები გაათავისუფლეს ოსურმა ძალებმა, შესაბამისად, აღარ არსებობდა დავის საგანი.<sup>91</sup>

რაც შეეხება მეორე საქმეს, რომელზეც სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება,<sup>92</sup> ის უშუალოდ 2008 წლის ომის პერიოდში რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებს ეხება. ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების სამართლებრივი სტატუსის განუხილველად. კერძოდ, როგორც სასამართლომ საქმის დასაშვებობის განხილვის ეტაპზე დასკვნა, რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის კონტროლისა და ამ კონტროლის ხარისხის საკითხები იმდენად არის გადაჯაჭვული უშუალოდ იქ მომხდარ სავარაუდო ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებთან, რომ ერთიანობაში განიხილება, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდება.<sup>93</sup> ეს იმაზე მიუთითებდა, რომ სასამართლო არ აპირებდა გვერდის ავლას (და პრინციპში ვერც აუვლიდა)

<sup>91</sup> Georgia v. Russia (III), application no.61186/09, decision of the European Court of Human Rights, 16 March, 2010.

<sup>92</sup> Georgia v. Russia (II) (n 49).

<sup>93</sup> Georgia v. Russia (II), application no.38263/08, decision on admissibility, European Court of Human Rights, 13 December, 2011, paras. 63-68.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების კონტროლის საკითხის განხილვისთვის, რაც, პოტენციურად კარგ ვარიანტში პირდაპირ დასრულდებოდა იმით, რომ სასამართლო ამ ტერიტორიებს გამოაცხადებდა ოკუპირებულ ტერიტორიებად საერთაშორისო სამართლის მიხედვით (მსგავსი პრაქტიკა მას უკვე აქვს ჩრდილოეთ კვიპროსთან მიმართებით, როცა პირდაპირ აღნიშნა, რომ თურქეთი ახდენდა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაციას), ან სხვა შემთხვევაში განიხილავდა კონტროლის ხარისხს და დაადგენდა, რომ ეს ტერიტორიები ექვევა რუსეთის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, რაც ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სწორედ რუსეთის „იურისდიქცია“ ვრცელდება.

სასამართლო სწორედ ასე მოიქცა და დაადგინა როგორც ეფექტიანი კონტროლის, ისე ოკუპაციის ფაქტი აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის მომენტიდან რუსეთის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გაყვანის მომენტამდე (2008 წლის 10 ოქტომბერი),<sup>94</sup> და მის შემდგომ პერიოდშიც პირდაპირ მიუთითა, რომ ამ ორი ტერიტორიული ერთეულის რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი და მათ შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები რუსეთის ფედერაციის მიერ ამ ტერიტორიებზე განგრძობითი ‘ეფექტიანი კონტროლის’ განხორციელების გამოვლინებაა.<sup>95</sup>

ტერიტორიის რუსეთის მიერ ეფექტიანი კონტროლის დადგენა კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ოკუპაციის ფაქტის დასადასტურებლად. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არ გვაქვს ‘ოკუპაციის’ ცნება, ის მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში გვხვდება, ტერიტორიული კონტროლი საერთო კონცეფციაა საერთაშორისო სამართლის ამ ორივე დარგისათვის, შესაბამისად, ერთის ფარგლებში დადგენილი ტერიტორიული ეფექტიანი კონტროლის ხარისხი შეიძლება გვაძლევდეს მეორე დარგის ფარგლებში ოკუპაციის დადასტურების შესაძლებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლოს მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიარება, ავტომატურად მოიაზრებს, რომ ამ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლი რუსეთს აქვს და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობაც მას ეკისრება, ხოლო 2008 წლის 10 ოქტომბრის შემდგომ სიტუაციისათვის სასამართლოს მიერ ოკუპაციად მოხსენების მორიდება და მხოლოდ ტერიტორიულ კონტროლად განხილვა და ეფექტიანი კონტროლის დადგენა ადამიანის უფლებათა სამართლის მიზნებისათვის, ჰუმანიტარული სამართლის გაგებით სწორედ სამხედრო ოკუპაციად უნდა იყოს მოაზრებული.<sup>96</sup>

#### ეფექტიანი კონტროლი ოკუპაციის სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალში

ოკუპაციის სამართალში არსებული ტეროტორიის ეფექტიანი კონტროლის ცნება უნდა განვასხვავოთ ადამიანის უფლებათა სამართალში არსებული ე.წ. ‘იურისდიქციის’ ცნებისაგან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ამბობს, რომ სახელმწიფოებს ევალებათ დაიცვან კონვენციით გარანტირებული უფლებები თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი უკეთა პირის მიმართ. კლასიკური გაგებით ეს ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, თუმცა არსებობს ე.წ. ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციაც, როდესაც სახელმწიფო თავის საზღვრებს მიღმა არსებულ

<sup>94</sup> Georgia v. Russia (II) (n 49). ნაწ. V.

<sup>95</sup> იქვე. para. 174.

<sup>96</sup> თუმცა სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე ‘ეფექტიანი კონტროლი’ უფრო ფართო ცნებაა და ყოველთვის ოკუპაციას არ მოიაზრებს. იხ. იქვე, para. 196.

ტერიტორიაზე ახორციელებს პირებზე ისეთ კონტროლს, რომელიც მას აკისრებს ამ პირების მიმართ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის ის ორგანო, რომელსაც ევალება დაადგინოს, სახეზეა თუ არა რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიის სრული ან ნაწილობრივი ოკუპაცია სხვა სახელმწიფოს მიერ. ამ სასამართლოს მთავარი სამართლებრივი წყარო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ყოველ განსახილველ საქმეში მან უნდა დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის წევრი სახელმწიფოს მიერ, მის იურისდიქციის ქვეშ მოქცეული პირ(ებ)ის მიმართ რომელიმე უფლებ(ებ)ის დარღვევის ფაქტს.

სასამართლოს ჰქონდა შემთხვევები, როდესაც მას მოუწია სახელმწიფოს ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის დადგენა ისეთ სიტუაციებში, როდესაც ერთი სახელმწიფო ახდენა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციას. თუმცა, სასამართლოს არ უმსჯელია ოკუპაციასა და ტერიტორიის ეფექტიან კონტროლზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჭრილში, რადგან ეს არ ჯდება მის მანდატში. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ ყველა ასეთ შემთხვევაში განმარტა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს იმგვარი კონტროლი ჰქონდა დამყარებული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც საჭირო იყო მისი იურისდიქციის დასადგენად. სასამართლო ამგვარი კონტროლის წარმოსადგენად სხვადასხვა საქმეში იყენებს სხვადასხვა ტერმინს, როგორიცაა ‘ეფექტიანი კონტროლი’,<sup>97</sup> ‘ზოგადი კონტროლი’,<sup>98</sup> ‘ზოგად-ეფექტიანი კონტროლი’,<sup>99</sup> ‘ეფექტიანი მმართველობა’ ან/და ‘განმსაზღვრელი კონტროლი’.<sup>100</sup> თუმცა სასამართლოს არცერთ შემთხვევაში არ მიუთითებია, რომ ეს იგივე სტანდარტია, რაც მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში. ყოველი ასეთი საქმის განხილვისას, სასამართლოს მიზანი იყო დაედგინა, ჰქონდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქცია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვისათვის.

მაშასადამე, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ეფექტიან კონტროლს, ზოგად კონტროლს ან ეფექტიან მმართველობას, ეს მას სჭირდება იმისათვის, რათა დაადგინოს, სახეზე არის თუ არა ექსტრატერიტორიული იურისდიქცია, თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ადგილი აქვს ოკუპაციას ჰუმანიტარული სამართლის გაგებით.

**(b) საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული სახელმწიფოებისა და მათი პარლამენტების პოზიცია**

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტიდან მალევე საქართველომ აქტიური მუშაობა დაიწყო ამ მიმართულებით, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ მუშაობის პირველი და მყისიერი შედეგი იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუცია საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ. რეზოლუციის ტექსტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ რუსეთის ფედერაციის ფართომასშტაბიან შეიარაღებულ შეტევას მოჰყვა

<sup>97</sup> GRAND CHAMBER, CASE OF CHIRAGOV AND OTHERS v. ARMENIA, (Application no. 13216/05), JUDGMENT (Merits), STRASBOURG, 16 June 2015, para 180.

GRAND CHAMBER, CASE OF CATAN AND OTHERS v. MOLDOVA AND RUSSIA, Applications nos. 43370/04, 8252/05 and 18454/06), JUDGMENT, STRASBOURG, 19 October 2012, para 122.

<sup>98</sup> COURT (CHAMBER), CASE OF LOIZIDOU v. TURKEY (PRELIMINARY OBJECTIONS), (Application no. 15318/89), JUDGMENT, STRASBOURG, 23 March 1995, para 58.

<sup>99</sup> CASE OF CYPRUS v. TURKEY, (Application no. 25781/94), JUDGMENT, STRASBOURG, 10 May 2001, paras 76-77.

<sup>100</sup> CASE OF ILAŞCU AND OTHERS v. MOLDOVA AND RUSSIA, (Application no. 48787/99), JUDGMENT, STRASBOURG, 8 July 2004, para 392.

საქართველოს ტერიტორიების სამხედრო ოკუპაცია.<sup>101</sup> მასვე მოჰყვა 2009 წელს იმავე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც უკვე აკონკრეტებდა, რომ ყოფილი კონფლიქტის ზონები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ამჟამად უკვე ოკუპირებული ტერიტორიებია.<sup>102</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა შემდგომ წლებშიც ერთგული რჩება საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიარების მიმართ თავის მიერ დეკლარირებული მიდგომისა, რაც მომდევნო რეზოლუციებშიც აისახა.<sup>103</sup>

ევროპის საბჭო იყო ერთ-ერთი პირველი ორგანო საერთაშორისო დონეზე, რომელმაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიარა; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციები არ არის სავალდებულო ხასიათის. რეზოლუციები მიიღება ხმათა უმრავლესობით, რაც ნიშნავს, რომ მათი ტექსტი და სულისკვეთება შეიძლება არ გამოხატავდეს ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს პოზიციას (მით უმეტეს, როდესაც საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის ფედერაციის დელეგაციაც შედის).

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციისგან განსხვავებით, კიდევ უფრო მკაცრი იყო რეზოლუციის ტექსტი, რომელიც მიიღო ევროპარლამენტმა, პარლამენტი პირდაპირ აცხადებდა აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად, იქ მომხდარ დარღვევებზეც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობას სწორედ რუსეთის ფედერაციას აკისრებდა.<sup>104</sup> აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ევროპარლამენტის შემდგომ რეზოლუციებსა თუ სხვა დოკუმენტებშიც, ასევე მოხსენიებულია ოკუპირებულ ტერიტორიებად.<sup>105</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა ევროპული კავშირის სხვა ორგანოებს მაინცდამაინც ღიად არ გაუზიარებიათ. ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტში, ასოცირების შეთანხმებაში,<sup>106</sup> აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი მოხსენიებულია არა ოკუპირებულ ტერიტორიებად, არამედ რეგიონებად, რომელზეც საქართველო ვერ ახორციელებს სრულ ეფუძნიან კონტროლს.<sup>107</sup> ამის მიუხედავად, ევროპარლამენტი კვლავაც განაგრძობს რუსეთის ფედერაციის საკუპაციო

<sup>101</sup> Parliamentary Assembly of the Council of Europe, resolution 1633(2008) The consequences of the war between Georgia and Russia, para 6.

<sup>102</sup> Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1647 (2009): Implementation of Resolution 1633 (2008) on the consequences of the war between Georgia and Russia, para.16.

<sup>103</sup> იბ. მაგ. Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1648 (2009): The humanitarian consequences of the war between Georgia and Russia; Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1664 (2009): Humanitarian consequences of the war between Georgia and Russia: follow-up given to Resolution 1648 (2009); Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1801 (2011): The honouring of obligations and commitments by Georgia.

<sup>104</sup> European Parliament resolution of 17 November 2011 containing the European Parliament's recommendations to the Council, the Commission and the EEAS on the negotiations of the EU-Georgia Association Agreement, paras. F, 1(g-h).

<sup>105</sup> იბ. მაგ. European Parliament resolution of 20 January 2011 on an EU Strategy for the Black Sea; European Parliament resolution of 9 June 2011 on the EU-Russia summit.

<sup>106</sup> ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებებს ევროპული კავშირის მხრიდან ახორციელებდა ევროპული კომისია.

<sup>107</sup> ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, art. 429(2).

რეაქტიულობა, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის - ოკუპირებულ ტერიტორიებად მოხსენიებას თავის ბოლოდროინდელ რეზოლუციებში.<sup>108</sup>

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტიდან მალევე, არც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საპარლამენტო ორგანო აღმოჩნდა გამონაკლისი, რომ პირდაპირ ეღიარებინა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წელს მიღებული რეზოლუციით, ასამბლეა შემთხოვებას გამოხატავს ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ჰუმანიტარული სიტუაციის გამო.<sup>109</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად, საქართველოს რამდენიმე პარტნიორი სახელმწიფოს პარლამენტებმაც კონფლიქტიდან მალევე მიიღეს სხვადასხვა სახის დოკუმენტები (დადგენლებები, განცხადებები და ა.შ.), სადაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი მოხსენიებულია ოკუპირებულ ტერიტორიებად.<sup>110</sup>

### (c) რუსეთის ფედერაციის პოზიცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2008 წლამდე, გარკვეული უკანონო ქმედებების მიუხედავად (მაგ., პასპორტიზაცია), რუსეთის ფედერაციას ოფიციალურად არ გაუხდია სადავოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების სტატუსი და მათ საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევდა. ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, როცა რუსეთმა აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა<sup>111</sup> და ფაქტობრივად, ამით ჩატარებული გზა ამ ტერიტორიების საქართველოს კონტროლს ქვეშ დაბრუნების ნებისმიერი მოდალობის შესახებ მოლაპარაკებებზე.

საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების არაერთი მოწოდების მიუხედავად, უკან გაეხმო თავისი აღიარება,<sup>112</sup> რუსეთი მყარად დგას თავის პოზიციაზე და 2008 წლიდან დღემდე არ შეუცვლია ეს მიდგომა. რუსეთის პოზიციიდან სავარაუდო გადახვევის ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ 2011 წელს გაფორმებული შეთანხმება.<sup>113</sup> ეს შეთანხმება

<sup>108</sup> European Parliament resolution of 14 June 2018 on Georgian occupied territories 10 years after the Russian invasion (2018/2741(RSP)).

<sup>109</sup> NATO Parliamentary Assembly RESOLUTION 382 on THE SITUATION IN GEORGIA Presented by the Committee on the Civil Dimension of Security and adopted by the Plenary Assembly on Tuesday 16 November 2010, Warsaw, Poland, para.5.

<sup>110</sup> მაგ. იბ. SEIMAS OF THE REPUBLIC OF LITHUANIA, RESOLUTION ON THE SITUATION IN GEORGIA, 1 June 2010; The Parliament of the Czech Republic, Senate, 324<sup>th</sup> Resolution of the Senate on the situation in Georgia, 8 October 2009; Statement of the Estonia-Georgia Parliamentary Group of Riigikogu in connection with the second anniversary of the military aggression of the Russian Federation against Georgia, 8.08.2010; Statement of the Foreign Affairs Committee of the Saeima of the Republic of Latvia on support for the territorial integrity of Georgia, 15.06.2011; The US Senate Resolution in support for Georgia, July 27, 2011; The Parliament of Romania, Resolution of the Senate on the situation in Georgia, 28 June 2010.

<sup>111</sup> 'Russia Recognizes Abkhazia, South Ossetia' (Radio Free Europe/Radio Liberty, 26 August 2008) available at <[https://www.rferl.org/a/Russia\\_Recognizes\\_Abkhazia\\_South\\_Ossetia/1193932.html](https://www.rferl.org/a/Russia_Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html)>.

<sup>112</sup> 'EU Lawmakers Urge Russia to Reverse Recognition Of Abkhazia, South Ossetia Independence' (Radio Free Europe/Radio Liberty, June 14, 2008) available at <<https://www.rferl.org/a/eu-lawmakers-urge-russia-to-reverse-recognition-of-abkhazia-south-ossetia-independence/29290370.html>>.

<sup>113</sup> შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი

საქართველომ და რუსეთმა გააფორმეს რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მოღაპარაკებების ფარგლებში, სადაც საქართველომ, როგორც ამ ორგანიზაციის წევრმა, არ დაბლოკა რუსეთის წევრობა, ხოლო რუსეთმა აიღო ვალდებულება, რომ ტვირთებს შეთანხმებით გათვალისწინებული ერთობლივი საბაჟო კონტროლის პრინციპებით გაატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება წმინდად საბაჟო კონტროლის საკითხებს ეხება და საერთოდ არ ახსანებს მნარეთა დამოკიდებულებას საქართველოს სუვერენიტეტსა თუ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იგი ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ტვირთების გატარებას წინასწარ განსაზღვრული საბაჟო დერეფნების მეშვეობით, რომელსაც კონტროლს დამოუკიდებელი კომპანია გაუწევს.<sup>114</sup>

ეს დერეფნები გულისხმობს ტვირთის გავლას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ისე, რომ მისი განბაჟება იქ არ მოხდება, არამედ ტვირთი რეგისტრირდება ჯერ რუსეთის მხარეს და შემდეგ უკვე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამ პრინციპზე რუსეთის ფედერაციის თანხმობის გამოხატვა ირიბად გულისხმობს მის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, ან როგორც მინიმუმ, გულისხმობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მის მიერვე აღიარებული ‘დამოუკიდებლობის’ უგულებელყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება ჯერ-ჯერობით არ ამოქმედებულა და ბუნდოვანია, ზოგადად დაიწყება თუ არა ან როდის დაიწყება რუსეთ-საქართველოს შორის ტვირთების გატარება ამ შეთანხმების შესაბამისად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის გავლით, ის მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია სამართლებრივად იმის დასამტკიცებლად, რომ თავად რუსეთის ფედერაციაც კი, რომელიც ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობის სახელმწიფოებს შორის, რომელთაც აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, უგულებელყოფს თავისივე მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც სამომავლოდ ამ ტერიტორიების სტატუტის დისკუსიაში საქართველოს სასარგებლო არგუმენტის საფუძველი შეიძლება გახდეს.

---

პრინციპების შესახებ (ქ. ქენევა, 2011 წლის 9 ნოემბერი) ხელმისაწვდომია აქ <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1512898?publication=0>>.

<sup>114</sup> იქვე.

## 4. როდის სრულდება ოკუპაცია

### 4.1. ოკუპაციის სრულად ან ნაწილობრივ დასრულება

სამხედრო ოკუპაცია გრძელდება მანამ, ვიდრე ოკუპანტი სახელმწიფო ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კონტროლს და ომი არ არის დასრულებული, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ომის ერთადერთი გამოვლინება სწორედ ეს ოკუპაციაა. ოკუპაციის დასრულების რამდენიმე ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველი არსებობს:

**ზავი** – ძირითადად ოკუპაცია და ომი ერთდროულად სრულდება, რასაც წინ უძღვის სამშვიდობო ხელშეკრულება – ზავი. ზავით შესაძლებელია დაპირისპირებული მხარეები მრავალფეროვან პირობებზე შეთანხმდნენ, მათ შორის უცხოური ჯარის დალკეული ნაწილების ტერიტორიაზე დროებით დარჩენაზე და სხვა, თუმცა საბოლოოდ, ყველაფერი დევნილი სუვერენის მიერ ტერიტორიის დაუფლებით და მასზე კონტროლის აღდგენით სრულდება.<sup>115</sup>

**პრესკრიფცია (მიწერა)** – თეორიულად, შესაძლებელია ომი დასრულდეს, თუნდაც ზავით, რომლის პირობებიც არ ეხება ოკუპირებული ტერიტორიის მომავალ მდგომარეობას, ოკუპაცია კი გაგრძელდეს და სუვერენი ამ მდგომარეობას არ აპროტესტებდეს. ამ პირობებში გვექნება შემთხვევა, როდესაც სახეზეა ‘ოკუპანტი სახელმწიფო ხელისუფლების უწყვეტი და მშვიდობიანი განხორციელება დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.’ ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ შესაძლოა შეიძინოს უფლება ტერიტორიაზე მათი მიწერით, თუმცა ეს დამოკიდებული იქნება მშვიდობიან და შემოუდავებელ ფლობაზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ნაგულისხმევი ცნობის პირობებში. ჩვენს რეალობაში, როდესაც აუთვისებელი მიწები აღარ არსებობს და სახელმწიფოებს შორის კომუნიკაცია პრობლემა არ არის, ნაკლებსავარაუდოა, ოკუპაციის დასრულების ამ ფორმას პრაქტიკაში შევხვდეთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის თვითგამოკვევის უფლება არ უნდა იქნეს იგნორირებული.<sup>116</sup>

**ოკუპირებული ტერიტორიიდან გასვლა** – ოკუპანტმა სახელმწიფომ შესაძლოა ომის დასრულებამდე დატოვოს ტერიტორია, დაასრულოს მისი ეფუქტიანი კონტროლი და გავიდეს. ეს შესაძლოა მოხდეს შუალედური შეთანხმებების საფუძველზე მებრძოლ მხარეთა შორის. თუმცა, უფრო ხშირად კი, ოკუპირებულ ტერიტორიას ან მის ნაწილს ტოვებენ დევნილი სუვერენის (მარტო ან მოკავშირეებთან ერთად) მიერ ჩატარებული წარმატებული სამხედრო კონტროპერაციების შედეგად, რის შემდეგაც ოკუპანტი უკან იხევს ტერიტორიიდან. ოკუპანტმა სახელმწიფომ შეიძლება ცალმხრივად გადაწყვიტოს ტერიტორიიდან გასვლა, აშკარა სამხედრო წარუმატებლობის, ან აჯანყების ზემოხსენებული მიზნების გარეშეც, მეტად პოლიტიკური ან სტრატეგიული საფუძვლებით.<sup>117</sup>

**გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს სავალდებულო გადაწყვეტილება** – ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა და ამ სიტუაციაზე უშიშროების საბჭოს რეაგირებამ დაგვანახა, რომ სამხედრო ოკუპაცია ასევე შესაძლებელია დასრულდეს საბჭოს „ბრძანებით“. 2004 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში 1546 საბჭო მიესალმა ერაყის ოკუპაციის დასრულების თარიღის დადგენას, რომლის შემდეგაც კოალიციური ძალის ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე მიიჩნევა ერაყის ახალი მთავრობის მიერ მოწვეულად. პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, ცოტა რამ თუ შეცვალა სტატუსის ამგვარმა ცვლილებამ. ეს ძალები განაგრძობდნენ წინააღმდეგობის შემორჩენილი კერების ჩატარებას და ადგილზე გარკვეულ ადმინისტრაციულ უფლებამოსილებასაც

<sup>115</sup> Dinstein (n 13) 290-91.

<sup>116</sup> Ibid, 291-92.

<sup>117</sup> Ibid, 292.

ახორციელებდნენ. შესაბამისად, ოკუპაცია მხოლოდ ფორმალურად უნდა ჩაითვალოს დასრულებულად.<sup>118</sup>

#### ოკუპიის ნაწილობრივ დასრულება:

**მხარეთა შეთანხმება –** ოკუპირებული ტერიტორიებიდან ნაწილობრივ გასვლას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხარეთა შეთანხმება, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1979 წელს, ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, რის შედეგადაც ისრაელმა 3 წლის პერიოდში დატოვა სინას ნახევარკუნძული. ასევე შეგვიძლია 90-იანი წლების იმავე ისრაელის და „ოსლოს შეთანხმების“ მაგალითის მოყვანა, როდესაც ისრაელი გავიდა დასავლეთ სანაპიროდან და ღაზას სექტორიდან და უფლება-მოვალეობათა ნაწილი პალესტინელებს გადასცა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ვიდრე ოკუპანტი სახელმწიფო არ დათმობს სრულად ოკუპირებულ ტერიტორიის ნაწილზე ეფექტიან კონტროლს, ოკუპაცია არ შეიძლება მივიჩნიოთ დასრულებულად.<sup>119</sup>

**სამხედრო შეტაკებები –** ომის მიმდინარეობისას ბრძოლის წინა ხაზის ხშირი ცვლილება სიახლეს არ წარმოადგენს. ამგვარ სამხედრო მანევრებს შეიძლება უშუალოდ დაექვემდებაროს ოკუპირებული ტერიტორია. ამგვარი ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე ოკუპანტის მიერ ეფექტიანი კონტროლის დაკარგვა მიუთითებს ამ ადგილზე ოკუპაციის დასრულებას, მიუხედავად სხვა ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობისა.<sup>120</sup>

**ოკუპანტი სახელმწიფოს ცალმხრივი გადაწყვეტილება –** ნაწილობრივი დეოკუპაციის ამ ფორმის განსახილველად დავუბრუნდეთ ყველაზე საინტერესო და უნიკალურ შემთხვევას, როდესაც ისრაელმა 2005 წელს ცალმხრივად დატოვა ღაზას სექტორი, დატოვა ყველა საცხოვრებელი და ნაგებობა და გამოაცხადა, რომ იგი აღარ იყო ამ სექტორის ოკუპანტი სახელმწიფო.<sup>121</sup> თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისრაელის მიერ ღაზას სექტორის ოკუპაცია კვლავ დასტურდებოდა სამართლებრივად ფუნქციონალური მიდგომის საფუძველზე.

#### **4.2. ოკუპაციის დასრულების სამართლებრივი შედეგები**

სამხედრო ოკუპაციის ფაქტობრივ შეწყვეტასთან ერთად ტერიტორიაზე აღდგება დევნილი სუვერენი. შესაბამისად, ოკუპაციის დასრულებასთან ერთად ოკუპანტი სახელმწიფოს ხელისუფლებაც ამოიწურება. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, სამხედრო მთავრობის მიერ ჰაგის რეგულაციების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი სპეციალური კანონმდებლობა კარგავს ძალას, თუ აღდგენილი სუვერენი სხვაგვარად არ გადაწყვეტს. ხშირად სერიოზული პრაგმატული მიზეზები არსებობს სუვერენის ამგვარი ქცევის არგუმენტირებისათვის. უდავოა, რომ ერთ დღეში მთელი კანონმდებლობის გაუქმება ვერ ჩაითვლება რაციონალურ ნაბიჯად. ეს გადაწყვეტილება პირდაპირ არის დამოკიდებული ოკუპაციის მიმდინარეობის პერიოდსა და სხვა გარემოებებზე. ამავე პრინციპით შესაძლებელია ოკუპანტის მიერ დანიშნული მოსამართლებისა და საჯარო მოხელეების დათხოვნა, თუ სუვერენი მათ დოროებით ადგილზე დატოვებას არ მიიჩნევს უფრო მიზანშეწონილად.

ზოგადად, დეოკუპაციის შემდგომი პერიოდი, მოიცავს ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევით ჩადენილი ყველა ქმედების ანულირებას. თუმცა უდავოა, რომ ეს პროცესი პრაქტიკაში ადგილობრივი სამართლის სისტემის მიხედვით განსხვავებულად აისახება. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ

<sup>118</sup> Ibid, 293-94.

<sup>119</sup> Ibid, 294-96.

<sup>120</sup> Ibid, 296.

<sup>121</sup> Ibid, 296-303.

სამხედრო ოკუპაციის სამართლის შესაბამისად განხორციელებული ქმედებები (საგადასახადო, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვა) ვერ იქნება უარყოფილი სუვერენის მიერ.<sup>122</sup>

### ნამიბიის გამონაკლისის ტესტი

მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების<sup>123</sup> მიხედვით, ყველა სახელმწიფო ვალდებულია არ აღიაროს კანონიერად სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის სერიოზული დარღვევის შედეგად და არ გაწიოს რაიმე სახის მხარდაჭერა ან დახმარება ამ სიტუაციის შესანარჩუნებლად.<sup>124</sup>

ზოგადად, სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ოკუპანტი ძალის ყველა ქმედება ავტომატურად უკანონოდ არ მიიჩნევა. თუკი ოკუპანტი მოქმედებს ჰავაგის რეგულაციებისა და უენევის მე-4 კონვენციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამგვარი ქმედება ნამდვილია და მისი შედეგების აღიარება საერთაშორისო სამართალს არ ეწინააღმდეგება. *Ex injuria ius non oritur*<sup>125</sup> პრინციპის მიხედვით, რეეიმის უკანონო ქმედებები ბათილია და არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. თუმცა, *ex factis ius ortiut* პრინციპის მიხედვით, უკანონო რეეიმის ზოგიერთ ქმედებას შეიძლება მიეცეს სამართლებრივი ძალა, მიუხედავად ამ რეეიმის სტატუსისა.<sup>126</sup>

მაგალითისთვის, თუკი სამხედრო ოკუპაცია უკანონოა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ მკვეთრადა დაგმობილი, სახელმწიფოები ვალდებული არიან არ აღიარონ ოკუპანტის უკანონო ქმედებები გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ამგვარი აღიარება საჭიროა ოკუპაციის ქვეშ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ეს მიდგომა ვრცლად განიხილა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნამიბიის საკონსულტაციო დასკვნაში და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილია ნამიბიის გამონაკლისის სახით, რომლის მიხედვითაც უკანონო საოკუპაციო რეეიმის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედება შეიძლება ნამდვილი იყოს, თუკი ის არ იწვევს მკვიდრი მოსახლეობის დაზარალებას. სასამართლოს მოსაზრებით, ეს გამონაკლისი შეიძლება გავრცელდეს ისეთ ქმედებებზე, მაგალითად, როგორიცაა დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების რეგისტრაცია, რომლის შედეგების იგნორირებაც მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება ტერიტორიის მოსახლეობისათვის.<sup>127</sup> სასამართლოს მიერ ამგვარი ქმედებების ჩამონათვალი ამომწურავი არაა და მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპად შეიძლება იქნას გამოყენებული; თუმცა აშკარაა, რომ ოკუპანტის ქმედება, რომელიც არღვევს *jus cogens* ნორმას, არცერთ შემთხვევაში არ იქნება ნამდვილი, მაშინაც კი, როდესაც ის არ ვნებს ადგილობრივ მოსახლეობას.<sup>128</sup>

მაშასადამე, როდესაც ოკუპაცია მთლიანად უკანონოდ არის აღიარებული, ეს არ ათავისუფლებს ოკუპანტს ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან. ოკუპანტი კვლავ

<sup>122</sup> Eyal Benvenisti, 'The Law of Unilateral Termination of Occupation' in *Tel Aviv University Law Faculty Papers no 93 (2008)*, 283-5

<sup>123</sup> (n 27).

<sup>124</sup> Ibid, art.41(2).

<sup>125</sup> "law (or right) does not arise from injustice" - კანონი (ან უფლება) არ წარმოიშვება უსამართლობიდან.

<sup>126</sup> Crawford, J. *The Creation of States*, (Oxford University Press, 2006) 166-167; Jennings, R.Y. 'Nullity and Effectiveness in International Law' in *Cambridge Essays in International Law: essays in honour of Lord McNair (London, 1965)*, 75.

<sup>127</sup> *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South-West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1971*, p. 16, para.125.

<sup>128</sup> Yael Ronen 'Status of Settlers Implanted by Illegal Territorial Regimes' in *British Yearbook of International Law*, vol.79, no.1, (2008), 232-233.

ვალდებულია დაიცვას ოკუპაციის წესები, ისევე როგორც ვალდებულია დაიცვას მთლიანად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, მიუხედავად შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების საფუძვლების ლეგიტიმურობისა.<sup>129</sup>

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოური ჯარების უკანონო სამხედრო ყოფნა არ ათავისუფლებს ოკუპანტს მისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის ან სხვა სახელმწიფოების მიმართ ამ ტერიტორიაზე მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით აქვს,<sup>130</sup> რაღაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველს განსაზღვრავს ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი, იმის მიუხედავად საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეს კონტროლი კანონიერად არის დამყარებული თუ უკანონოდ.<sup>131</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპაცია მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობაა, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სამხედრო ოპერაცია. ჰუმანიტარული სამართალი თანაბრად ვრცელდება კონფლიქტის ყველა მხარეზე, მიუხედავად ომის საფუძვლის კანონიერებისა თუ სხვა მიზეზისა. ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული აქტების კანონიერების დასადგენად (ოკუპირებულ ტერიტორიაზე მისი მუდმივი ყოფნის კანონიერებისაგან განსხვავებით), უპირველესი კითხვაა, იცავდა თუ არა ოკუპანტი კონკრეტულ შემთხვევებში ოკუპაციის სამართალს.<sup>132</sup> ოკუპანტის უფლებამოსილება არსებითად შეზღუდულია: ოკუპანტი ვალდებულია შეინარჩუნოს სტატუს კვი.<sup>133</sup> თუმცა ეს ხელს არ უძლის საოკუპაციო ძალას გარკვეული ცვლილებების განხორციელებაში, რაც საჭიროა ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებთა კეთილდღეობისთვის ან საოკუპაციო ჯარის სამხედრო საჭიროებებისთვის. ასეთი ზომები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ უნდა ცვლიდეს პერმანენტულად სტატუს კვის.

ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული ზომები, რომლებიც შეესაბამება ოკუპაციის სამართლით დაწესებულ შეზღუდვებს, ძალაში რჩება, მიუხედავად ოკუპაციის მთლიანი უკანონობისა. მეორე მხრივ, ქმედებები, რომლებიც არღვევს ოკუპანტის ვალდებულებებს, ჩაითვლება ბათილად. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ე.წ. ნამიბიის გამონაკლისის შესაბამისად, უკანონო ოკუპანტის მიერ მიღებული ზოგიერთი აქტი მაინც შეიძლება ვალიდურად ჩაითვალოს, თუკი ეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებში შედის.<sup>134</sup>

უკანონო ოკუპაციის შედეგების არაღიარების ვალდებულება ვრცელდება მთლიანად ოკუპანტი ძალის ყოფნის უკანონობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყოველი ინდივიდუალური ქმედება უნდა იყოს უგულებელყოფილი. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ფაქტობრივად, ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული ის ზომები, რომლებიც შეესაბამება ოკუპაციის სამართლის მოთხოვნებს, რჩება ძალაში და მესამე მხარეებს შეუძლიათ აღიარონ ეს ქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფენ ოკუპაციის საერთო კანონიერებას.

ოკუპაცია უკანონოდ შეიძლება ჩაითვალოს, თუკი ის არღვევს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას, მაგალითად, ძალის გამოყენების აკრძალვას ან ხალხთა

<sup>129</sup> Eliav Lieblich and Eyal Benvenisti, *Occupation in International Law* (Oxford University Press, 2022) 35.

<sup>130</sup> *Legal Consequences Arising from the Policies and Practices of Israel in the Occupied Palestinian Territory, Including East Jerusalem* (Advisory Opinion) [2024] General List No 186 (AO), para. 261.

<sup>131</sup> Ibid, para. 264.

<sup>132</sup> Benvenisti and Lieblich (n 129) 32.

<sup>133</sup> Hanne Cuyckens (n 30) 72-73.

<sup>134</sup> (n 127).

თვითგამორკვევის უფლებას. ძალის უკანონო გამოყენების შედეგად მომხდარი ოკუპაციის არაღიარება ნიშნავს ამ ძალის შედეგად მოთხოვნილი ნებისმიერი სტატუსის უარყოფას და ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის დამყარების ნებისმიერი პრეტენზის უგულებელყოფას.<sup>135</sup>

#### **4.3. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის სავარაუდო სცენარები**

წინამდებარე სტატიაში განხილული იქუპაციის სამართლის კონცეფციებზე დაყრდნობით, დასკვნის სახით წარმოდგენილია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის მიმართულებით მომავალში განვითარებული შესაძლო მოვლენები და ის, თუ რა ელემენტები უნდა იყოს სახეზე ასეთ დროს, რომ სამართლებრივად იქუპაცია ჩაითვალოს დასრულებულად.

რადგანაც ორივე რეგიონის დეოკუპაციის პერსპექტივები სტატიაზე მუშაობის პერიოდისათვის საკმაოდ ბუნდოვანია, შესაბამისად, ქვემოთ განხილული შემთხვევები წარმოადგენს მოვლენების ჰიპოთეტური განვითარების შესაძლო ვარიანტებს და ეს ვარიანტები შემთხვევითი თანმიმდევრობითა დალაგებული:

##### **სცენარი N1:**

**რესეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილები უზაპობრივად ტოვებუნ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას, თუმცა დე ფაქტო რეაიმებზე რესეთის კონტროლი კვლავ ნარჩენდება.**

მოვლენების ასეთი განვითარებისას გასათვალისწინებულია, რომ რუსეთის სამხედრო ყოფნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოველთვის არ არის საჭირო იქუპაციის დასადგენად. როგორც სტატიის მეორე თავშია განხილული, ტერიტორიაზე სამხედრო ჯარების განულაგებლადაც შესაძლებელია სახეზე გვქონდეს იქუპაცია, აქედან გამომდინარე, თუკი დადასტურდება, რომ რუსეთის სამხედრო ყოფნა აღარ ფიქსირდება იქუპირებულ ტერიტორიებზე, შემდეგ საჭიროა შემოწმდეს, ხომ არ ახორციელებს რუსეთი დე ფაქტო მთავრობების ზოგად ან ეფექტიან კონტროლს. თუკი ეს დადასტურდება, მაშინ იქუპაცია დასრულებულად არ ჩაითვლება.

##### **სცენარი N2:**

**რესეთის ფედერაციის მიერ დე ფაქტო რეაიმების კონტროლი შესუსტებულია, მაგრამ მისი სამხედრო ბაზები კვლავ რჩება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე**

ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია დადგინდეს რუსეთის ფედერაციის კონტროლის ხარისხი აღწევს თუ არა ზოგად ან ეფექტიან კონტროლს, თუკი ეს არ დადასტურდა, მაშინ შესაძლოა იქუპაცია დასრულებულად ჩაითვალოს, თუმცა სამხედრო ბაზების არსებობა მიუთითებს ორ ფაქტზე: (1) უშუალოდ ის ტერიტორია, სადაც სამხედრო ბაზებია განთავსებული, თავისთავად ოკუპირებულად მიიჩნევა, რადგან ეს ბაზები საქართველოს თანხმობის გარეშეა იქ; (2) თუკი ამ ბაზებსა და მასზე განთავსებულ სამხედრო პერსონალს აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ მომენტში დაიკავოს დამატებითი ტერიტორიები და დაამყაროს ეფექტიანი კონტროლი მთელ რეგიონზე, მაშინ 'დისტანციური' კონტროლის ტესტის მიხედვით მთლიანი ტერიტორია მაინც ჩაითვლება იქუპირებულად.

<sup>135</sup> Yael Ronen, 'Illegal Occupation and Its Consequences' in *Israeli Law Review* 41 (2008) 234.

#### **სცენარი N3:**

**რუსეთმა გამოცხადა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიუბიდან ცალმხრივად გასვლის შესახებ, მაგრამ უცნობია, რჩება თუ არა ამ ტერიტორიუბზე სამხედრო პერსონალი**

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანის ვალდებულება ჯერ კიდევ 1999 წლიდან აკისრია, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გუდაუთაში განთავსებული ბაზა რუსეთს დადგენილ ვადებში უნდა გაეყვანა.<sup>136</sup> რუსეთს ეს ვალდებულება არ შეუსრულებია. რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის შეგნებული შეფერხება საქართველომ ოფიციალურად შეაფასა საქართველოს სუვერენიტეტის უხეშ დარღვევად, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ღია მხარდაჭერად და 1992-1994 წლებში აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ოკუპაციისა და ანექსიის დაკანონების მცდელობად.<sup>137</sup> გუდაუთის ბაზა რუსეთს რეალურად არასოდეს გაუყვანია, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებდა, მაგრამ ინსპექტირების შეუძლებლობის გამო ბაზის არსებობა ოფიციალურად ვერ დასტურდებოდა.<sup>138</sup> რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოკიდებულ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ კი, უკვე მასთან გაფორმებული ე.წ. ‘შეთანხმებით’ კვლავ ფორმალურად აღადგინა გუდაუთაში თავისი სამხედრო ყოფნა და ამას მისივე მტკიცებით აფხაზეთის ‘მოწვევით’ აკეთებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთთან რუსეთის ფედერაციის მიერ გაფორმებული ე.წ. შეთანხმებები საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რადგან ისინი გაფორმებული არ არის ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. ამას გარდა, აღნიშნული ქმედება არ არის მიმართული ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ, არამედ ემსახურება რუსეთის სამხედრო ინტერესს, შესაბამისად, ოკუპაციის სამართლის მიხედვით ეს ჩაითვლება ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ქმედებად, რაც ბათილია. საქართველოს არასოდეს მიუცია რუსეთისთვის თანხმობა თავის სუვერენულ ტერიტორიაზე რუსეთის რაიმე სახის სამხედრო ყოფნის შესახებ (გარდა სამშვიდობო ძალებისა, რომლებიც 2008 წლამდე იყვნენ განთავსებულნი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში), პირიქით, დამოკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, საქართველო მუდმივად მიუთითებდა რუსეთის სამხედრო ბაზების ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანის აუცილებლობაზე, შესაბამისად, დეოკუპაციის ფაქტის დადგენის მიზნებისათვის საჭიროა უტყუარად დადგინდეს, რომ რუსეთის ფედერაციამ ცალმხრივად გაიყვანა ყველა ბაზა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ კი, გუდაუთისა და ცხინვალის ტერიტორიაზეა განთავსებული.

#### **სცენარი N4:**

**აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დემილიტარიზდა და დოროებით სამართავად გადაეცა გაურთიანებულ ერებს.**

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების (ან ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის) მიერ გარკვეული ტერიტორიის აღმინისტრირება არ ჩაითვლება ოკუპაციად. მიუხედავად იმისა,

<sup>136</sup> Joint Statement of The Russian Federation And Georgia, Istanbul, 17 November 1999 available at <<https://www.peaceagreements.org/viewmasterdocument/1704>>.

<sup>137</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე, 2001 წლის 18 ივლისი. №1009-IIს

<sup>138</sup> მამუკა კუდავა, ‘რუსული ბაზების გაყვანა’ (მეტა, 16 მარტი 2021) ხელმისაწვდომია აქ <<https://www.facebook.com/notes/378518460189221/>>.

რომ განდევნილ სუვერენს არ აქვს კონტროლი ამ ტერიტორიებზე, საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველობა არ უთანაბრდება ოკუპაციის აქტს. ამგვარი პრაქტიკა გვხვდებოდა კოსოვოში,<sup>139</sup> ასევე იყო მცდელობა, რომ მსგავსი რეეიმი დაფუძნებულიყო ქალაქ იერუსალიმშიც.<sup>140</sup>

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველობის დასამყარებლად საჭიროა პირველ რიგში ტერიტორიიდან უცხო სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის) შეიარაღებული ძალების სრულად გასვლა და, ამავე დროს, სამოქალაქო მმართველობის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელში გადასვლა, რაც გამორიცხავს მასზე რუსეთის მხრიდან ზოგადი ან ეფექტური კონტროლის დამყარებას. ამგვარი მისიები, როგორც წესი, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს სავალდებულო რეზოლუციით უნდა დაფუძნდეს.

#### **სცენარი N5:**

#### **რესუთმა გაიყვანა თავისი ძალები ტერიტორიიდან და ათარ დასტურდება მის მიერ დე ფაქტო რეუიშების კონტროლის ფაქტი**

განსახილველი სცენარი დიდი ალბათობით მიუთითებს ტერიტორიის დეოკუპაციისათვის საჭირო ყველა ელემენტის არსებობაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, საქართველოს მთავრობამ, შესაძლოა, ვერ შეძლოს კონტროლის სრულად აღდგენა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე, თუკი მათ კვლავ დე ფაქტო რეეიმები გააკონტროლებენ (თუნდაც რუსეთის მხრიდან მხარდაჭერის გარეშე). მსგავს სიტუაციაში ტერიტორია ჩაითვლება დეოკუპირებულად, მაგრამ არასახელმწიფოებრივი დაჯგუფების კონტროლის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ კლასიური ოკუპაციის დროს განდევნილმა სუვერენიმა უნდა აღიდგინოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რათა ოკუპაცია დასრულებულად ჩაითვალოს, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როგორიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთშია, შესაძლოა, ეს ელემენტი სრულად ვერ შესრულდეს, რადგან დე ფაქტო რეეიმები კვლავ დარჩნენ დაკავებული ტერიტორიების მმართველობაში.

რუსეთის მხრიდან თავისი ძალების ცალმხრივად გაყვანა შესაძლოა გამოწვეული იყოს მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით ან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მზარდი პროტესტის ფონზე. რუსეთის მიმართ წინააღმდეგობამ უკვე გამოიწვია მღლვარება, განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც რუსეთის ინტერესების ღიად გატარების მცდელობები, როგორც წესი, ფართომასშტაბიანი პროტესტის მიზეზი ხდება. ამის ნათელი მაგალითებია, კრემლის მიერ ინსპირირებული ე.წ. 'უცხოური აგენტების' შესახებ კანონი, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ დააინიცირა, თუმცა მისი განხილვები გაურკვეველი ვალით გადაიდო, სავარაუდოდ, სწორედ ოპოზიციის პროტესტის გამო.<sup>141</sup> ასევე, ბიჭვინთის სამთავრობო რეზიდენციის რუსეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება,<sup>142</sup> რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა ფართომასშტაბიანი პროტესტისა და რუსეთის

<sup>139</sup> UNMIK Fact Sheet, available at <<https://peacekeeping.un.org/en/mission/unmik>>.

<sup>140</sup> United Nation General Assembly, resolution no 181(II) adopted on 29 November 1947, part III.

<sup>141</sup> 'Sokhumi is delaying the consideration of the foreign Agents law. At the same time, pressure on NGO operating in occupied Gali' (Democracy Research Institute, 24 May 2024) available at <<https://www.democracyresearch.org/eng/1468/>>.

<sup>142</sup> რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ე.წ. შეთანხმების ტექსტი იძებნება აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტის ვებგვერდზე. იხ აქ <<https://presidentofabkhazia.org/upload/iblock/f62/Ratifikatsiya-Soglasheniya-2023.pdf>>.

მხრიდან სავარაუდო ზეწოლის ფონზე მიიღო.<sup>143</sup> ხოლო, ე.წ. ‘აპარტამენტების კანონის’ მიღების გაქიანურება ფართომასშტაბიანი პროტესტის ფონზე,<sup>144</sup> აფხაზეთს რუსეთის მხრიდან ფინანსური დახმარების შეწყვეტად დაუჯდა.<sup>145</sup> კანონის პროექტი არარეზიდენტებისათვის, უპირველესად კი რუსებისათვის, აფხაზეთში ბინების გამარტივებულად შესყიდვის შესაძლებლობას იძლევა.

ეს მაგალითები ადასტურებს, რომ განსხვავებით ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთისაგან, რომელიც თავად ესწრაფვის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას,<sup>146</sup> აფხაზეთის საზოგადოებაში ანტირუსული განწყობები უფრო მატულობს, რადგან მათთვის ცხადი ხდება რუსეთის ანექსიის პოლიტიკის მიზნები, რომელიც აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აჟარად არ მოიაზრებს.

საბოლოოდ, იმისათვის, რათა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოკუპაცია დასრულებულად ჩაითვალოს, საჭიროა სახეზე იყოს შემდეგი კუმულატიური ელემენტები:

- რუსეთის ფედერაციამ სრულად უნდა გაიყვანოს ყველა სამხედრო ბაზა და სამხედრო დანაყოფები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან;
- რუსეთის ფედერაციის მხრიდან არ უნდა დგინდებოდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობების ზოგადი ან ეფექტური კონტროლი;
- საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, როგორც განლევნილმა სუვერენიმა, უნდა აღიდგინოს თავისი კონტროლი აღნიშნულ ტერიტორიებზე (თუმცა ეს ელემენტი შესაძლოა არ იყოს სახეზე და ტერიტორიას კვლავ სეპარატისტული რეაქტური მართავდნენ).

ალტერნატიულად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორია შესაძლოა დროებით სამართავად გადაეცეს გაერთიანებულ ერებს ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, ოკუპაცია ასეთ შემთხვევაშიც დასრულებულად ჩაითვლება და დაიწყება ტერიტორიის ადმინისტრირება საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

<sup>143</sup> ‘Ongoing Protests in Abkhazia Over Pitsunda State Dacha Agreement’ (*Abkhaz World*, 26 December 2023) available at <<https://abkhazworld.com/aw/current-affairs/2635-ongoing-protests-in-abkhazia-over-pitsunda-state-dacha-agreement>>.

<sup>144</sup> ‘Clashes between “Law Enforcement,” People over “Apartment Law” in Occupied Abkhazia’ (*Civil.ge*, 17 July 2024) available at <<https://civil.ge/archives/616584>>.

<sup>145</sup> ‘Kremlin Suspends Funding of Occupied Abkhazia’ (*Civil.ge*, 4 September 2024) available at <<https://civil.ge/archives/622602>>.

<sup>146</sup> ‘Georgia’s South Ossetia plans to take steps to join Russia’ (*Al-Jazeera*, 31 March 2022) available at <<https://www.aljazeera.com/news/2022/3/31/georgias-south-ossetia-plans-to-take-legal-steps-to-join-russia>>.